

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი

ო ლ ი მ პ ი უ რ ი

ქ ა რ ტ ი ა

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

ოლიმპიური ქარტია

სარჩევი

ოლიმპიურ მოძრაობაში გამოყენებული აბრევიატურები 5
ოლიმპიური ქარტიის წინასიტყვაობა 6
პრეამბულა 7
ოლიმპიზმის ფუნდამენტური პრინციპები 8

თავი 1
ოლიმპიური მოძრაობა და მისი საქმიანობა 9
1. ოლიმპიური მოძრაობის შემადგენლობა და ზოგადი ორგანიზაციული სტრუქტურა 9
2. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) დანიშნულება და როლი* 9
მე-2 წესის ოფიციალური განმარტება 10
3. აღიარება IOC–ის მიერ 11
4. ოლიმპიური კონგრესი* 11
მე-4 წესის ოფიციალური განმარტება 11
5. ოლიმპიური სოლიდარობა* 12
მე-5 წესის ოფიციალური განმარტება 12
6. ოლიმპიური თამაშები* 13
მე-6 წესის ოფიციალური განმარტება 13
7. უფლებები ოლიმპიურ თამაშებსა და ოლიმპიურ რეკვიზიტებზე* 14
8. ოლიმპიური სიმბოლო* 14
9. ოლიმპიური დროშა* 14
10. ოლიმპიური დევიზი* 15
11. ოლიმპიური ემბლემა* 15
12. ოლიმპიური ჰიმნი* 15
13. ოლიმპიური ცეცხლი. ოლიმპიური ჩირაღდანი* 15
14. ოლიმპიური ნიშანი* 15
7-14 წესების ოფიციალური განმარტება 15

თავი 2
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) 20
15. იურიდიული სტატუსი 20
16. წევრები* 20
1. IOC–ის შემადგენლობა – IOC-ის წევრთა მოთხოვნილებებთან შესაბამისობა, არჩევა, დაშვება და სტატუსი 20
2. ვალდებულებები 21
3. წევრის სტატუსის დაკარგვა 22
4. საპატიო პრეზიდენტი – საპატიო წევრები 24
მე-16 წესის განმარტება 25
17. ორგანიზაცია 29
18. სესია* 29
მე-18 წესის განმარტება 30

19. IOC-ის აღმასრულებელი საბჭო* 31
1. დაკომპლექტება: 31
2. არჩევნები, უფლებამოსილების ვადა, მანდატის განახლება და ვაკანსიები 32
3. უფლებამოსილებანი, ვალდებულებები და მოვალეობები 32
4. უფლებამოსილებათა გადაცემა 33
მე-19 წესის განმარტება 34
20. პრეზიდენტი* 35
მე-20 წესის ოფიციალური განმარტება 35
21. IOC-ის კომისიები* 35
21-ე წესის ოფიციალური განმარტება 36
22. IOC-ის ეთიკის კომისია* 37
22-ე წესის ოფიციალური განმარტება 37
23. გასატარებელი ღონისძიებები და სანქციები* 38
23-ე წესის ოფიციალური განმარტება 40
24. ენები 41
25. IOC-ის ფინანსური რესურსები 41

თავი 3
საერთაშორისო ფედერაციები (IF) 42
26. საერთაშორისო ფედერაციების აღიარება 42
27. საერთაშორისო ფედერაციების დანიშნულება და როლი ოლიმპიურ მოძრაობაში 42

თავი 4
ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები (NOC) 44
28. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების (NOC) დანიშნულება და როლი ოლიმპიურ მოძრაობაში* 44
29. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების (NOC) დაკომპლექტება* 46
28-ე და 29-ე წესების განმარტება 47
30. ეროვნული ფედერაციები 49
31. NOC-ის ქვეყანა და დასახელება 49
32. NOC-ის დროშა, ემბლემა და ჰიმნი 49
თავი 5
ოლიმპიური თამაშები 50
33. ოლიმპიური თამაშების აღნიშვნა* 50
33-ე წესის განმარტება 50
34. მასპინძელი ქალაქის არჩევა* 50
34-ე წესის განმარტება 51
35. ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი და სპორტული მოედნები* 52
35-ე წესის განმარტება 53
36. საორგანიზაციო კომიტეტი* 53
36-ე წესის განმარტება 53
37. ვალდებულებები – ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლების ჩამორთმევა 53
38. ოლიმპიური თამაშების სააკოორდინაციო კომიტეტი – თანამშრომლობა NOC–სა და OCOG–ს შორის* 54
38-ე წესის განმარტება 54
39. ოლიმპიური სოფელი* 57
39-ე წესის განმარტება 57

40. კულტურული პროგრამა 57
41. დადგენილ მოთხოვნილებებთან შესაბამისობის კოდექსი* 57
41-ე წესის განმარტება 58
42. მოასპარეზეთა მოქალაქეობა* 58
42-ე წესის განმარტება 58
43. ასაკობრივი შეზღუდვა 59
44. მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი 59
45. მოწვევები და განაცხადები* 59
45-ე წესის განმარტება 60
46. ოლიმპიური თამაშების პროგრამა 62
46-ე წესის განმარტება 62

47. საერთაშორისო ფედერაციების ტექნიკური ვალდებულებები ოლიმპიურ თამაშებზე 64
47-ე წესის განმარტება 64
48. ახალგაზრდული ბანაკი 72
49. ოლიმპიური თამაშების გაშუქება საინფორმაციო საშუალებების მიერ* 72
49-ე წესის ოფიციალური განმარტება 72
50. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული პუბლიკაციები* 72
50-ე წესის ოფიციალური განმარტება 73
51. რეკლამა, დემონსტრირება, პროპაგანდა* 73
51-ე წესის განმარტება 73
52. პროტოკოლი 76
53. ოლიმპიური პირადობისა და აკრედიტაციის ბარათი 76
ბარათით მინიჭებული უფლებები
54. ოლიმპიური დროშის გამოყენება 77
55. ოლიმპიური ცეცხლის გამოყენება 77
56. გახსნისა და დახურვის ცერემონიები 77
57. დაჯილდოების, მედლებისა და დიპლომების გადაცემის ცერემონიალები 78
58. საპატიო სია 78
59. დავები – არბიტრაჟი 78

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

ოლიმპიურ მოძრაობაში გამოყენებული აბრევიატურები

IOC	საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი
OC	ოლიმპიური ქარტია
R…	ოლიმპიური ქარტიის წესი
BLR…	ოლიმპიური ქარტიის წესის განმარტება
OCOG	ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი
IF	საერთაშორისო ფედერაცია
ASOIF	სპორტის ზაფხულის სახეობათა საერთაშორისო ოლიმპიური ფედერაციების ასოციაცია
AIOWF	სპორტის ზამთრის სახეობათა საერთაშორისო ოლიმპიური ფედერაციების ასოციაცია
NOC	ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
IPC	საერთაშორისო პარა-ოლიმპიური კომიტეტი
ANOC	ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია
ANOCA	აფრიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია
OCA	აზიის ოლიმპიური საბჭო
PASO	პან-ამერიკული სპორტული ორგანიზაცია
ONOC	ოკეანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები
EOC	ევროპის ოლიმპიური კომიტეტები
CAS	სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო
OGKS	ოლიმპიური თამაშების საინფორმაციო სამსახურები
WADA	მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტო
IOA	საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია

ოლიმპიური ქარტიის წინასიტყვაობა

ოლიმპიური ქარტია (OC) წარმოადგენს ოლიმპიზმის ძირითადი პრინციპების, აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) მიერ მიღებული წესებისა და მათი ოფიციალური განმარტებების კოდიფიკაციას. იგი მართავს ოლიმპიური მოძრაობის ორგანიზაციას, მოქმედებასა და საქმიანობას და აყალიბებს ოლიმპიური თამაშების ჩატარების პირობებს. არსებითად, ოლიმპიური ქარტია ემსახურება სამ ძირითად მიზანს:

ა) ოლიმპიური ქარტია, როგორც კონსტიტუციური ხასიათის ძირითადი ინსტრუმენტი, აყალიბებს და შეგვახსენებს ოლიმპიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს და ძირითად ფასეულობებს;
ბ) ოლიმპიური ქარტია ასევე წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებას;
გ) გარდა ამისა, ოლიმპიური ქარტია განსაზღვრავს ოლიმპიური მოძრაობის სამი უმთავრესი შემადგენელი მხარის, კერძოდ – საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების, აგრეთვე ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების ძირითად ურთიერთვალდებულებებსა და უფლებებს. ყველა მათგანი უნდა ემორჩილებოდეს ოლიმპიურ ქარტიას.

შენიშვნა:

თუ წერილობით არ არის სხვაგვარად მითითებული, ოლიმპიური ქარტიის ფარგლებში წელიწადი აღნიშნავს კალენდარულ წელიწადს, რომელიც იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

პრეამბულა

თანამედროვე ოლიმპიზმს საფუძველი ჩაუყარა პიერ დე კუბერტენმა, რომლის ინიციატივით 1894 წლის ივნისში პარიზში ჩატარდა სპორტის საერთაშორისო კონგრესი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) დაარსდა 1894 წ. 23 ივნისს. თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1896 წ საბერძნეთში, ათენში. 1914 წ. პარიზის კონგრესზე მიღებულ იქნა პიერ დე კუბერტენის მიერ წარმოდგენილი ოლიმპიური დროშა. მასზე გამოსახული იყო ხუთი ურთიერთგადაჯაჭვული რგოლი, რომელიც აღნიშნავს ხუთი კონტინენტის კავშირს და ოლიმპიურ თამაშებზე მთელი მსოფლიოს სპორტსმენთა შეხვედრას. პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა საფრანგეთში, შამონში (Chamonix), 1924 წ.

ოლიმპიზმის ძირითადი პრინციპები

1. ოლიმპიზმი ცხოვრების ფილოსოფიაა, რომელიც ერთ ჰარმონიულ მთლიანობაში აერთიანებს ფიზიკურ, სულიერ და გონებრივ თვისებებს. განიხილავს რა სპორტს კულტურასა და განათლებასთან ურთიერთკავშირში, ოლიმპიზმი ქმნის ცხოვრების ისეთ წესს, რომელიც ეფუძნება წარმატებისკენ სწრაფვას, მრავალმხრივი გამოცდილების შეძენის მნიშვნელობას და უნივერსალური ეთიკური პრინციპების პატივისცემას.

2. ოლიმპიზმის მიზანია გამოიყენოს სპორტი ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის, რათა ხელი შეუწყოს ისეთი მშვიდობისმოყვარე საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც დაცულია ადამიანის ღირსება.

3. ოლიმპიური მოძრაობა IOC-ის უზენაესი ხელმძღვანელობით წარმართული შეთანხმებული, ორგანიზებული, უნივერსალური და პერმანენტული საქმიანობაა, რომელსაც ეწევიან ოლიმპიური ფასეულობებით შთაგონებული პიროვნებები და უწყებები. იგი ხუთ კონტინენტს მოიცავს და თავის პიკს აღწევს მსოფლიოს სპორტსმენთა თავმოყრისას უდიდეს სპორტულ ფესტივალზე – ოლიმპიურ თამაშებზე. მისი სიმბოლოა ხუთი გადაჯაჭვული რგოლი.

4. სპორტული პრაქტიკა ადამიანის უფლებაა. ყოველ პიროვნებას უნდა გააჩნდეს ყოველგვარი დისკრიმინაციისგან თავისუფალი ვარჯიშის საშუალება იმ ოლიმპიური სულისკვეთებით, რომელიც მოითხოვს ურთიერთგაგებას და ეფუძნება მეგობრობის, სოლიდარობისა და სამართლიანი თამაშის პრინციპებს. სპორტის ადმინისტრირებას და მართვას უნდა აკონტროლებდნენ დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაციები.

5. ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ქვეყანასთან ან პიროვნებასთან მიმართებაში რასობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ, გენდერულ ან სხვა საფუძველზე, შეუთავსებელია ოლიმპიურ მოძრაობასთან.

6. ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანება მოითხოვს ოლიმპიურ ქარტიასთან შესაბამისობას და IOC–ის მიერ აღიარებას.

თავი I

ოლიმპიური მოძრაობა და მისი საქმიანობა

1. ოლიმპიური მოძრაობის შემადგენლობა და ზოგადი ორგანიზაციული სტრუქტურა

1. ოლიმპიური მოძრაობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესი ხელისუფლების ქვეშ აერთიანებს ორგანიზაციებს, სპორტსმენებსა და სხვა პირებს, რომლებიც გამოთქვამენ თანხმობას, რომ იხელმძღვანელონ ოლიმპიური ქარტიით. ოლიმპიური მოძრაობის მიზანია წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი და უკეთესი მსოფლიოს მშენებლობაში ოლიმპიზმისა და მისი ფასეულობების შესაბამისად ახალგაზრდობის სპორტული აღზრდა-განათლების საშუალებით.

2. ოლიმპიური მოძრაობის სამი ძირითადი შემადგენელი ელემენტია: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC), საერთაშორისო სპორტული ფედერაციები (IFs) და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები (NOCs). ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც, ნებისმიერი სახით, ეკუთვნის ოლიმპიურ მოძრაობას, ასრულებს ოლიმპიური ქარტიის დებულებებს და ემორჩილება IOC-ის გადაწყვეტილებებს.

3. გარდა სამი შემადგენელი სტრუქტურული ელემენტისა, ოლიმპიური მოძრაობა მოიცავს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტებს (OCOGs), ეროვნულ ფედერაციებს, კლუბებსა და პიროვნებებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან IF–ებსა და NOC-ებში, კერძოდ, სპორტსმენებს, რომელთა ინტერესები ოლიმპიური მოძრაობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს, აგრეთვე – მსაჯებს, არბიტრებს, მწვრთნელებს და სპორტის სფეროში მოღვაწე სხვა ოფიციალურ პირებსა და ტექნიკურ პერსონალს. იგი აგრეთვე აერთიანებს IOC-ის მიერ აღიარებულ სხვა ორგანიზაციებსა და უწყებებს.

2. IOC-ის დანიშნულება და როლი*

IOC-ის დანიშნულებაა ოლიმპიზმის პროპაგანდა მსოფლიოს მასშტაბით და ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელობა. IOC-ის როლია:

1. სპორტული ეთიკის დანერგვა, აგრეთვე სპორტის საშუალებით ახალგაზრდობის აღზრდის ხელშეწყობა და ყველა ძალისხმევის გამოყენება სპორტში სამართლიანი თამაშის სულისკვეთების დანერგვისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად;

2. სპორტის და სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციის, გავრცელებისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;

3. ოლიმპიური თამაშების რეგულარული ჩატარების უზრუნველყოფა;

4. კომპეტენტურ საზოგადოებრივ ან კერძო ორგანიზაციებსა და უწყებებთან თანამშრომლობა სპორტის კაცობრიობის სამსახურში ჩაყენების და ამგვარად მშვიდობის ხელშეწყობის მიზნით;

5. სათანადო ღონისძიებების გატარება ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისა და დამოუკიდებლობის დაცვისთვის;

6. ბრძოლა ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ოლიმპიურ მოძრაობაზე;

7. სპორტში ნებისმიერ დონეზე და ყველა სტრუქტურაში ქალების მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პრინციპის დაცვის მიზნით;

8. სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა;

9. სპორტსმენთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გატარება და ხელშეწყობა;

10. წინააღმდეგობის გაწევა სპორტისა და სპორტსმენების რაიმე პოლიტიკური ან კომერციული სახით ბოროტად გამოყენების შემთხვევაში;

11. სპორტული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების დარწმუნება სპორტსმენთა სოციალურ და პროფესიონალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის აუცილებლობაში;

12. "სპორტი ყველასათვის" განვითარება და ხელშეწყობა;

13. პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ და მათი სათანადო მხარდაჭერა, სპორტის დინამიური განვითარების ხელშეწყობა და ოლიმპიური თამაშების ამ მოთხოვნების შესაბამისად ჩატარების აუცილებლობა.

14. მასპინძელი ქალაქებისა და ქვეყნებისთვის ოლიმპიური თამაშების მდიდარი მემკვიდრეობის გადაცემა;

15. შესაბამისი ინიციატივების გატარება და მხარდაჭერა სპორტის დასაკავშირებლად კულტურასა და განათლებასთან;

16. საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის (IOA) და ოლიმპიური განათლების სფეროში დასაქმებული სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერა.

მე-2 წესის ოფიციალური განმარტება

1. IOC–ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია მისთვის მისაღები პირობების საფუძველზე პატრონაჟობა გაუწიოს სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს – რეგიონალურ, კონტინენტალურ და მსოფლიო დონეზე – იმ პირობით, რომ ისინი ჩატარდება ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად და ორგანიზებული იქნება IOC-ის მიერ აღიარებული NOC-ების ან ფედერაციების ხელმძღვანელობით, შესაბამისი IF-ების დახმარებით და მათი ტექნიკური რეგლამენტის დაცვით.

2. *IOC–ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია IOC პატრონაჟობა გაუწიოს სხვა ღონისძიებებსაც იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება ოლიმპიური მოძრაობის მიზნებს.*

3. აღიარება IOC–ის მიერ

1. ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანების ძირითადი პირობაა IOC–ის მიერ აღიარება.

2. IOC-მა შეიძლება ეროვნული ოლიმპიური კომტეტების სახით აღიაროს ისეთი ეროვნული სპორტული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაც უკავშირდება სოკ-ის დანიშნულებასა და როლს. IOC-მა შეიძლება აღიაროს კონტინენტალურ ან მსოფლიო დონეზე ჩამოყალიბებული NOC-თა ასოციაციები. ყველა NOC–სა და NOC-თა ასოციაციას, შეძლებისდაგვარად, უნდა გააჩნდეს იურიდიული პირის სტატუსი. ისინი უნდა ემორჩილებოდნენ ოლიმპიურ ქარტიას. მათი წესდება უნდა დაამტკიცოს IOC–მა.

3. IOC-ს შეუძლია აღიაროს IF–ები და IF–ების ასოციაციები.

4. IF–ების ან NOC-ების ასოციაციების აღიარება არ ზღუდავს ყოველი IF–ისა და NOC–ის უფლებას, რომ უშუალო ურთიერთობა ჰქონდეს IOC–თან, და პირიქით.

5. IOC-მა შეიძლება აღიაროს სპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა სტატუსი და საქმიანობა შეესაბამება ოლიმპიურ ქარტიას.

6. IOC-ის მიერ აღიარება შეიძლება იყოს პირობითი ან სრული. პირობითი აღიარების ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს IOC–ის აღმასრულებელი საბჭო, კონკრეტული ან განუსაზღვრელი პერიოდით. IOC–ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია დაადგინოს პირობები, რომლის მიხედვითაც პირობითმა აღიარებამ შესაძლოა ძალა დაკარგოს. გადაწყვეტილებას სრული აღიარების ან მისი გაუქმების შესახებ იღებს სოკ-ის სესია. აღიარების პროცედურების დეტალებს ადგენს IOC–ის აღმასრულებელი საბჭო.

4. ოლიმპიური კონგრესი*

ოლიმპიური კონგრესი თავს უყრის ოლიმპიური მოძრაობის შემადგენელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს IOC-ის მიერ დადგენილი ინტერვალით; კონგრესს იწვევს IOC-ის პრეზიდენტი და იგი სათათბირო ხასიათს ატარებს.

მე-4 წესის ოფიციალური განმარტება

1. *ოლიმპიურ კონგრესს, სესიის გადაწყვეტილებით, იწვევს პრეზიდენტი, ხოლო მისი ორგანიზება სესიის მიერ დადგენილ ადგილსა და დროს ხდება IOC-ის მიერ. კონგრესის მსვლელობისას პრეზიდენტი ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციას და განსაზღვრავს სამუშაო პროცედურებს.*

2. *ოლიმპიურ კონგრესს ესწრებიან IOC-ის წევრები, საპატიო პრეზიდენტი*

3. *, საპატიო წევრები, დამსახურებული წევრები, IF-ებისა და NOC–ების წარმომადგენელი დელეგატები; კონგრესს შესაძლოა დაესწრონ IOC–ის მიერ აღიარებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. გარდა ამისა, ოლიმპიურ კონგრესს ესწრებიან სპორტსმენები და პირები, რომლებსაც იწვევენ მათი ინდივიდუალური ან წარმომადგენლობითი ნიშნის მიხედვით.*

4. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭო IF–ებთან და NOC–ებთან კონსულტაციის შედეგად ადგენს ოლიმპიური კონგრესის დღის წესრიგს.*

5. ოლიმპიური სოლიდარობა*

ოლიმპიური სოლიდარობის მიზანია NOC–თა დახმარების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ასეთ დახმარებას. ამ დახმარებას გააჩნია პროგრამების სახე, რომლებსაც ერთობლივად შეიმუშავებენ IOC–ი და NOC-ები, საჭიროების შემთხვევაში - IF-ის ტექნიკური დახმარებით.

მე-5 წესის ოფიციალური განმარტება

ოლიმპიური სოლიდარობის მიერ შემუშავებული პროგრამები მიზნად ისახავს:

1. *ოლიმპიზმის ფუნდამენტური პრინციპების პროპაგანდას;*

2. *NOC–ების დახმარებას მათი სპორტსმენებისა და გუნდების მზადებაში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად;*

3. *სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტექნიკური სპორტული ცოდნის გაღრმავებას;*

4. *სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტექნიკური დონის გაუმჯობესებას NOC–ებსა და IF–ებთან ერთად, მათ შორის – სტიპენდიების საშუალებით;*

5. *სპორტული ადმინისტრატორების ტრენინგს;*

6. *ამ მიზნით შესაბამის ორგანიზაციებთან და უწყებებთან თანამშრომლობას განსაკუთრებით, ოლიმპიური განათლებისა და სპორტის პროპაგანდის საშუალებით;*

7. *საჭიროებისამებრ, მარტივი, ფუნქციონალური და ეკონომიკური სპორტული ობიექტების შექმნას ეროვნულ და საერთაშორისო სტრუქტურებთან ერთად;*

8. *შეჯიბრებების ორგანიზებას ეროვნულ, რეგიონალურ და კონტინენტალურ დონეზე NOC-თა ხელმძღვანელობითა და მათი პატრონაჟით და NOC–ების დახმარებას რეგიონალურ და კონტინენტალურ თამაშებში მათი დელეგაციების დაკომპლექტების, მზადებისა და მონაწილეობის საქმეში;*

9. *NOC–ებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პროგრამების შემუშავებას;*

10. *მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დარწმუნება განვითარების ოფიციალური პროგრამების ნუსხაში სპორტის შეტანის აუცილებლობაში.*

ამგვარი პროგრამების ადმინისტრირება ხორციელდება ოლიმპიური სოლიდარობის კომისიის მიერ.

6. ოლიმპიური თამაშები*

1. ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს ინდივიდუალურ და გუნდურ შეჯიბრებებს სპორტსმენთა შორის, და არა ქვეყნებს შორის. თამაშებზე თავს იყრიან შესაბამისი NOC-ების მიერ შერჩეული სპორტსმენები, რომელთა განაცხადებიც მონაწილეობის შესახებ მიღებულ იქნა IOC–ის მიერ. მათი შეჯიბრების ტექნიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებენ შესაბამისი IF-ები.

2. ოლიმპიური თამაშები შედგება ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისგან. ზამთრის სპორტის სახეობებად ითვლება სპორტის მხოლოდ ის სახეობები, რომლებიც სრულდება თოვლზე ან ყინულზე.

3. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ენიჭება IOC-ს.

4. მიუხედავად ყოველგვარი საარბიტრაჟო და გასაჩივრების პროცედურების წესებისა და ვადებისა, ასევე მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის ნებისმიერი სხვა დებულების საფუძველზე, IOC-ის მიერ ოლიმპიური თამაშების პუბლიკაციებთან – მათ შორის შეჯიბრებებთან და მათ შედეგებთან, როგორიცაა რეიტინგების და შედეგების განსაზღვრა და ა.შ. - დაკავშირებული არცერთი გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დაყენების უფლება არ გააჩნია არავის, თუ ასეთი თამაშების დახურვის ცერემონიის დღიდან გასულია სამი წელი.

მე-6 წესის ოფიციალური განმარტება

1. *ოლიმპიადის პერიოდი არის ოთხი თანმიმდევრული კალენდარული წლის პერიოდი, რომელიც იწყება პირველი წლის პირველ იანვარს და მთავრდება მეოთხე წლის ოცდათერთმეტ დეკემბერს.*

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

2. *ოლიმპიადები ინომრება თანმიმდევრულად პირველი ოლიმპიური თამაშებიდან, რომელიც ჩატარდა 1896 წ. ათენში.*

3. *ზამთრის ოლიმპიური თამაშები ინომრება მათი ჩატარების თანმიმდევრობის მიხედვით.*

7. უფლებები ოლიმპიურ თამაშებსა და ოლიმპიურ რეკვიზიტებზე*

1. ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს IOC-ის ექსკლუზიურ საკუთრებას, რომელიც ფლობს მათთან დაკავშირებულ ყველა უფლებასა და მონაცემს, კერძოდ, ნებისმიერი არსებული ან მომავალში შემუშავებული ფორმით და საშუალებით მათი ორგანიზაციის, ჩატარების, მაუწყებლობის, ჩაწერის, წარმომადგენლობის, რეპროდუქციის, დაშვების და გავრცელების უფლებებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. IOC ადგენს ოლიმპიურ თამაშებთან და ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებებსა და სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვებისა და მათი გამოყენების პირობებს.

2. ოლიმპიური სიმბოლო, დროშა, დევიზი, ჰიმნი და აღნიშვნები (რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება "ოლიმპიური თამაშებით", "ოლიმპიადის თამაშებით" და ა.შ.), ნიშნები, ემბლემები, დროშები და ჩირაღდნები, როგორც განმარტებულია ქვემოთ 8-14 წესებში, ერთად და ცალ-ცალკე მოიხსენიება როგორც "ოლიმპიური რეკვიზიტი". ყველა უფლება თითოეულ და ყველა ოლიმპიურ საკუთრებაზე, აგრეთვე მათ გამოყენებაზე, ეკუთვნის ექსკლუზიურად IOC-ს, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება მათი გამოყენებით ნებისმიერი მოგების მიღების, კომერციული და სარეკლამო მიზნებით. IOC-ს შეუძლია მისი უფლებების მთლიანი ან ნაწილობრივი ლიცენზირება IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი პირობებისა და დებულებების შესაბამისად.

8. ოლიმპიური სიმბოლო*

ოლიმპიური სიმბოლო შედგება ერთნაირი ზომის ხუთი ურთიერთგადაჯაჭვული რგოლისგან (ოლიმპიური რგოლები), რომლებიც გამოიყენება ცალკე, ერთ ფერში ან ხუთ სხვადასხვა ფერში, რომელთა თანმიმდევრობა, მარცხნიდან მარჯვნივ, ასეთია: ცისფერი, ყვითელი, შავი, მწვანე და წითელი; რგოლები გადაჯაჭვულია მარცხნიდან მარჯვნივ; ცისფერი, შავი და წითელი რგოლები განლაგებულია ზემოთ, ყვითელი და მწვანე რგოლები –ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულების შესაბამისად. ოლიმპიური სიმბოლო გამოხატავს ოლიმპიური მოძრაობის საქმიანობას, განასახიერებს ხუთი კონტინენტის კავშირს და ოლიმპიურ თამაშებზე მთელი მსოფლიოს სპორტსმენების შეხვედრას.

9. ოლიმპიური დროშა*

ოლიმპიურ დროშას აქვს თეთრი ფონი, ჩარჩოების გარეშე. ოლიმპიური სიმბოლო ხუთ ფერში განთავსებულია მის ცენტრში.

10. ოლიმპიური დევიზი*

ოლიმპიური დევიზი "Citius . Altius . Fortius" ("უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ") გამოხატავს ოლიმპიური მოძრაობის სულისკვეთებას.

11. ოლიმპიური ემბლემები*

ოლიმპიური ემბლემა წარმოადგენს კომპლექსურ გამოსახულებას, რომელიც ოლიმპიურ რგოლებს უკავშირებს სხვა განმასხვავებელ ელემენტს.

12. ოლიმპიური ჰიმნი*

ოლიმპიური ჰიმნი წარმოადგენს მუსიკალურ ნაწარმოებს, სახელწოდებით "ოლიმპიური ჰიმნი", რომლის კომპოზიტორია სპიროს სამარა.

13. ოლიმპიური ცეცხლი, ოლიმპიური ჩირაღდნები*

1. ოლიმპიური ცეცხლი ინთება ოლიმპიაში IOC-ის უფლებამოსილებით;

2. ოლიმპიური ჩირაღდანი არის პორტატული ჩირაღდანი, ან IOC–ის მიერ დამტკიცებული მისი ასლი, რომელშიც ანთია ოლიმპიური ცეცხლი.

14. ოლიმპიური ნიშნები*

ოლიმპიური ნიშანი წარმოადგენს ნებისმიერი ასოციაციის ვიზუალურ ან აუდიო წარდგინებას, კავშირს ან სხვა სახის მაკავშირებელ ელემენტს ოლიმპიურ თამაშებთან, ოლიმპიურ მოძრაობასთან ან მის შემადგენელ კომპონენტთან.

7-14 წესების ოფიციალური განმარტება

1. *იურიდიული დაცვა:*
   1.1. *IOC-ს შეუძლია გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება, იმისათვის, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოს ოლიმპიური თამაშებისა და ნებისმიერი ოლიმპიური რეკვიზიტის იურიდიული დაცვა.*

   1.2. *ყოველი NOC-ი IOC-ის წინაშე პასუხისმგებელია თავის ქვეყანაში 7-14 წესების და ამ წესების ოფიციალური განმარტებების დაცვაზე. მან უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა აკრძალოს ოლიმპიური რეკვიზიტების გამოყენება ამ წესებისა და მათი ოფიციალური*

განმარტებების დარღვევით. აგრეთვე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი უნდა ცდილობდეს IOC-ის ინტერესებში განახორციელოს IOC-ის ოლიმპიური რეკვიზიტების დაცვა.

1.3. თუ ეროვნული კანონი ან საფირმო ნიშნის რეგისტრაცია ან სხვა იურიდიული ინსტრუმენტი აძლევს NOC-ს ოლიმპიური სიმბოლოს ან სხვა ოლიმპიური რეკვიზიტების იურიდიული დაცვის საშუალებას, NOC-მა უნდა გამოიყენოს ეს უფლება მხოლოდ ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად და IOC-ისგან მიღებული მითითებების თანახმად.

1.4. NOC-ს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს IOC-ს იურიდიული დახმარებისთვის ოლიმპიურ რეკვიზიტებთან დაკავშირებით და ნებისმიერი უთანხმოების მოსაგვარებლად, რომელიც შესაძლოა ამ საკითხთან მიმართებაში წარმოიშვას მესამე მხარესთან.

2. ოლიმპიური რეკვიზიტების გამოყენება IOC-ის ან მის მიერ უფლებამოსილი ან ლიცენზირებული მესამე მხარის მიერ:

2.1. IOC–ს შეუძლია შექმნას ერთი ან რამდენიმე ოლიმპიური ემბლემა და გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ.

2.2. ოლიმპიური სიმბოლო, ოლიმპიური ემბლემები და IOC-ის სხვა ოლიმპიური რეკვიზიტები შეიძლება გამოიყენებოდეს IOC-ის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ NOC–ის ქვეყანაში, იმ პირობით, თუ სათანადოდ იქნება დაცული შემდეგი დებულებები:

2.2.1. სპონსორობასა და მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებასა და მარკეტინგულ ინიციატივასთან დაკავშირებული გამოყენება, რომელიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ 2.2.2. პუნქტში და არ შელახავს შესაბამისი NOC-ის ინტერესებს. გადაწყვეტილება ამის თაობაზე მიღებული უნდა იყოს IOC–ის მიერ, შესაბამის NOC-თან კონსულტაციის შედეგად, რაც ითვალისწინებს – NOC- ის მიერ ოლიმპიური რეკვიზიტების გამოყენებით მოპოვებული სუფთა შემოსავლის ნაწილის მიღებას.

2.2.2. ყველა სალიცენზიო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, NOC-მა უნდა მიიღოს ასეთი გამოყენებით მიღებული სუფთა შემოსავლის ნახევარი, მასთან დაკავშირებული გადასახადებისა და გადარიცხვის ხარჯების დაქვითვის შემდეგ. ასეთი გამოყენების შესახებ NOC-ი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.

2.3. IOC–ს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია მისცეს ოლიმპიური თამაშების სამაუწყებლო ორგანოს IOC-ის ოლიმპიური სიმბოლოს, ოლიმპიური ემბლემის და IOC–ის ან OCOG–ების სხვა ოლიმპიური რეკვიზიტების გამოყენების უფლება, რათა ამ სახით ხელი შეუწყოს

ოლიმპიური თამაშების მაუწყებლობას. 2.2.1. და 2.2.2. პუნქტების დებულებები არ გამოიყენება ასეთ უფლებასთან მიმართებაში.

3. ოლიმპიური სიმბოლოს, დროშის, დევიზისა და ჰიმნის გამოყენება:

3.1. ამ ოფიციალური განმარტების 2.2. პუნქტის თანახმად, IOC-ს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ოლიმპიური სიმბოლო, დროშა, დევიზი და ჰიმნი.

3.2. NOC–ებს შეუძლიათ ოლიმპიური სიმბოლოს, დროშის, დევიზისა და ჰიმნის გამოყენება მხოლოდ თავისი არა-კომერციული საქმიანობის ჩარჩოებში, იმ პირობით, რომ ასეთი გამოყენება ხელს შეუწყობს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას და არ შელახავს მის ავტორიტეტს. ამასთანავე, შესაბამისმა NOC-ებმა წინასწარ უნდა მიიღონ თანხმობა IOC-ის აღმასრულებელი საბჭოსგან.

4. ოლიმპიური ემბლემის შექმნა და გამოყენება NOC–ის ან OCOG–ის მიერ

4.1. ოლიმპიური ემბლემა შეიძლება შექმნას NOC–მა ან OCOG–მა IOC-ის თანხმობის საფუძველზე.

4.2. IOC–მა შეიძლება მოიწონოს ოლიმპიური ემბლემის დიზაინი იმ პირობით, თუ ჩათვლის, რომ ეს ემბლემა განსხვავდება სხვა ოლიმპიური ემბლემებისგან.

4.3. ოლიმპიურ ემბლემაში მოქცეული ოლიმპიური სიმბოლო არ უნდა იკავებდეს ამ ემბლემის მთლიანი ფართის ერთ მესამედზე მეტს. ოლიმპიურ ემბლემაში განთავსებული ოლიმპიური სიმბოლო გამოსახული უნდა იყოს მთლიანად და არანაირად არ უნდა შეიცვალოს.

4.4. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, NOC-ის ოლიმპიური ემბლემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

4.4.1. ემბლემის დიზაინი უნდა იძლეოდეს მისი შესაბამისი NOC–ის ქვეყანასთან დაკავშირების საშუალებას.

4.4.2. ემბლემის განმასხვავებელი ელემენტი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი NOC–ის ქვეყნის სახელით ან მისი შემოკლებით.

4.4.3. ემბლემის განმასხვავებელი ელემენტი არ უნდა მიუთითებდეს ოლიმპიურ თამაშებზე ან კონკრეტულ თარიღზე ან ღონისძიებაზე, ანუ არ უნდა იყოს დროში შეზღუდული.

4.4.4. ემბლემის განმასხვავებელი ელემენტი არ უნდა შეიცავდეს დევიზებს, ნიშნებსა და სხვა დამახასიათებელ გამოთქმებს,

რომლებიც შექმნის შთაბეჭდილებას, რომ მას გლობალური ან საერთაშორისო ხასიათი აქვს.

4.5. 4.1., 4.2. და 4.3. პუნქტებში მოცემული დებულებების გარდა, OCOG-ის ოლიმპიური ემბლემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

4.5.1. ემბლემის დიზაინით მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რომ იგი დაკავშირებულია შესაბამისი OCOG–ის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიურ თამაშებთან.

4.5.2. ემბლემის განმასხვავებელი ნიშანი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი OCOG–ის ქვეყნის სახელით ან მისი შემოკლებით.

4.5.3. ემბლემის განმასხვავებელი ელემენტი არ უნდა შეიცავდეს დევიზებს, ნიშნებსა და სხვა დამახასიათებელ გამოთქმებს, რომლებიც შექმნის შთაბეჭდილებას, რომ მას გლობალური ან საერთაშორისო ხასიათი აქვს.

4.6. ნებისმიერი ოლიმპიური ემბლემა, რომელიც მანამდე იყო დამტკიცებული IOC–ის მიერ, ძალაში რჩება ზემოთ აღნიშნული დებულებების ამოქმედებამდე.

4.7. NOC-ის ემბლემა ნებისმიერ განსაზღვრულ დროს უნდა დარეგისტრირდეს NOC–ის მიერ, რის შედეგადაც იგი იურიდიულად იქნება დაცული ამ ოლიმპიური კომიტეტის ქვეყანაში. NOC-მა ასეთი რეგისტრაცია უნდა განახორციელოს IOC-ის მიერ ემბლემის დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში და მიაწოდოს IOC-ს რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. IOC-ის მიერ ოლიმპიური ემბლემის დამტკიცება შეიძლება გაუქმდეს, თუ შესაბამისი NOC-ები არ იღებენ ყოველგვარ ზომებს მის დასაცავად და არ აცნობებენ IOC–ს ასეთი დაცვის შესახებ. ანალოგიურად, OCOG-ებმა უნდა დაიცვან თავისი ოლიმპიური ემბლემები IOC-ის მითითებების შესაბამისად. NOC-ებისა და OCOG–ების მიერ მიღებული არანაირი დაცვა არ უნდა იქნას მიმართული IOC–ის საწინააღმდეგოდ.

4.8. ოლიმპიური ემბლემის გამოყენება რეკლამის, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის უნდა მოხდეს 4.9 და 4.10 პუნქტებში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.9. ნებისმიერმა NOC-მა ან OCOG-მა, რომელსაც სურს გამოიყენოს ოლიმპიური ემბლემა რეკლამის, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის დამოუკიდებლად ან მესამე მხარის საშუალებით, უნდა დაიცვას ეს ოფიციალური განმარტება და უზრუნველყოს მისი დაცვა მესამე მხარის მიერ.

4.10. ნებისმიერი კონტრაქტები და შეთანხმებები, მათ შორის OCOG–ის მიერ გაფორმებული, ხელმოწერილი ან დამტკიცებული უნდა იყოს

შესაბამისი NOC-ის მიერ და უნდა რეგულირდებოდეს შემდეგი პრინციპებით:

4.10.1. NOC–ის ოლიმპიური ემბლემის გამოყენება კანონიერი უნდა იყოს მხოლოდ აღნიშული NOC-ის ქვეყანაში; ასეთი ემბლემა, ისევე როგორც NOC-ის ნებისმიერი სხვა სიმბოლო, ემბლემა/ნიშანი ან დასახელება, რომელიც მიუთითებს ოლიმპიზმზე, არ უნდა გამოიყენებოდეს რეკლამის, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის სხვა NOC-ის ქვეყანაში ამ უკანასკნელის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.10.2. ანალოგიურად, OCOG–ის ოლიმპიური ემბლემა, ისევე როგორც OCOG-ის ნებისმიერი სხვა სიმბოლო, ემბლემა/ ნიშანი ან დასახელება, რომელიც მიუთითებს ოლიმპიზმზე, არ უნდა გამოიყენებოდეს რეკლამის, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის NOC-ის ქვეყანაში ასეთი NOC-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.10.3. ნებისმიერ შემთხვევაში, OCOG-ის მიერ გაფორმებული ნებისმიერი კონტრაქტის მოქმედების ვადა არ უნდა სცილდებოდეს შესაბამისი ოლიმპიური თამაშების წლის 31 დეკემბერს.

4.10.4. ოლიმპიური ემბლემის გამოყენება ხელს უნდა უწყობდეს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას და არ უნდა ლახავდეს მის ავტორიტეტს; ნებისმიერი კავშირი ოლიმპიურ ემბლემასა და საქონელს ან მომსახურებას შორის აკრძალულია, თუ ასეთი კავშირი შეუთავსებელია ოლიმპიზმის ფუნდამენტურ პრინციპებთან ან ქარტიით განსაზღვრულ IOC-ის როლთან.

4.10.5. NOC–ის მოთხოვნის საფუძველზე, ნებისმიერმა NOC–მა ან OCOG–მა უნდა წარმოადგინოს ნებისმიერი კონტრაქტის ასლი, რომლის მონაწილე მხარესაც იგი წარმოადგენს.

5. ფილატელია:

IOC, შესაბამისი ქვეყნების NOC–ებთან ერთად, ხელს უწყობს ოლიმპიური სიმბოლოს გამოყენებას საფოსტო მარკებზე, რომლებსაც IOC-ის მიერ განსაზღვრული პირობებით და მასთან თანამშრომლობით გამოსცემს კომპეტენტური ადგილობრივი ორგანო.

6. მუსიკალური ნაწარმოებები:

მასპინძელი ქალაქისა და ქვეყნის OCOG–მა და NOC–მა უნდა უზრუნველყონ, რომ IOC-ის საავტორო უფლებების მფლობელად დასახელების პროცედურა ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებზე აკმაყოფილებდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნებს.

თავი 2

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC)

15. იურიდიული სტატუსი

1. IOC წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადით მოქმედ საერთაშორისო არასამთავრობო და არა-კომერციულ ორგანიზაციას, ასოციაციის ფორმით, რომელსაც გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც აღიარებულია შვეიცარიის ფედერალური საბჭოს მიერ 2000 წ. 1 ნოემბერს ძალაში შესული ხელშეკრულების თანახმად.

2. იგი მდებარეობს ლოზანაში (შვეიცარია), ოლიმპიურ დედაქალაქში.

3. IOC–ის მიზანს წარმოადგენს ოლიმპიური ქარტიით განსაზღვრული დანიშნულების, როლისა და ვალდებულებების შესრულება.

4. IOC–ის გადაწყვეტილებები საბოლოოა. ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება მათი შესრულების ან ინტერპრეტაციის საფუძველზე, უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, და გარკვეულ შემთხვევებში, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ (CAS).

5. თავისი დანიშნულებისა და როლის შესრულების მიზნით IOC–ს შეუძლია დააარსოს, შეიძინოს ან სხვაგვარად მართოს იურიდიული სტრუქტურები, მაგ. ორგანიზაციები და კორპორაციები.

16. წევრები*

1. IOC–ის შემადგენლობა - შესაფერისობა, დაკომპლექტება, არჩევა, დაშვება და IOC–ის წევრების სტატუსი

IOC–ის წევრები არიან ფიზიკური პირები. მე- 16 წესის განმარტების თანამხმად, IOC-ის წევრების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 115-ს. IOC დაკომპლექტებულია:

წევრებით, რომელთა უმრავლესობის წევრობა არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ფუნქციასთან ან ოფისთან, როგორც განსაზღვრულია მე-16.2.2.5 წესის განმარტებაში; მათი მთლიანი რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 70-ს; არ უნდა იყოს ერთ ეროვნულ წევრზე მეტი ნებისმიერი ქვეყნიდან, როგორც განსაზღვრულია მე-16 წესის განმარტებაში;

აქტიური სპორტსმენებით, როგორც განსაზღვრულია მე-16.2.2.2 წესის განმარტებაში, რომელთა მთლიანი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს;

IF–ების, IF-ების ასოციაციების ან IOC–ს მიერ აღიარებული სხვა ორგანიზაციების პრეზიდენტებით ან აღმასრულებელი ან უფროსი ხელმძღვანელი თანამდებობის მქონე სხვა პირებით, რომელთა მთლიანი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს;

NOC–ების, NOC-ების მსოფლიო ან კონტინენტალური ასოციაციების პრეზიდენტებით ან აღმასრულებელი ან ხელმძღვანელი თანამდებობის მქონე სხვა პირებით, რომელთა მთლიანი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს; ნებისმიერი ქვეყნიდან სოკ-ის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ ერთი ასეთი წევრის არჩევა.

IOC დააკომპლექტებს და აირჩევს წევრებს შესაფერისი პირებისგან, რომლებსაც, როგორც იგი თვლის, გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია, მე- 16 წესის განმარტების შესაბამისად.

IOC ახალ წევრებს იღებს ცერემონიაზე, რომლის დროსაც ისინი აცხადებენ ვალდებულებათა შესრულების თანხმობას შემდეგი ფიცის დადების გზით:

> "მაქვს რა პატივი გავხდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, და ვაცხადებ რა, რომ ჩემთვის ცნობილია ამ რანგში ჩემი ვალდებულებების შესახებ, მზად ვარ ვემსახურო ოლიმპიურ მოძრაობას ჩემი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით; თავად დავიცვა და უზრუნველვყო ოლიმპიური ქარტიის დებულებების და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებების დაცვა, რომლებიც, როგორც მე ვთვლი, არ ექვემდებარება გასაჩივრებას ჩემი მხრიდან; დავემორჩილო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს; თავისუფალი ვიყო პოლიტიკური ან კომერციული ზეწოლისგან და რასობრივი ან რელიგიური მოსაზრებებისგან; ვიბრძოლო დისკრიმინაციის ყველა სხვა ფორმის წინააღმდეგ; ნებისმიერ გარემოებაში დავიცვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური მოძრაობის ინტერესები".

IOC–ის წევრები წარმოადგენენ და იცავენ IOC–ისა და ოლიმპიური მოძრაობის ინტერესებს თავიანთ ქვეყანაში და ოლიმპიური მოძრაობის იმ ორგანიზაციებში, სადაც ისინი საქმიანობენ.

IOC–ის წევრებმა არ უნდა მიიღონ მთავრობისგან, ორგანიზაციებისგან ან სხვა მხარეებისგან ისეთი დავალებები, რომლებიც შეზღუდავს მათი ქმედების ან ხმის მიცემის თავისუფლებას.

IOC–ის წევრები არ არიან პირადად პასუხისმგებელნი IOC–ის ვალებზე ან ვალდებულებებზე.

16.3 წესის პირობების გათვალისწინებით, IOC-ის ყოველი წევრი აირჩევა რვა წლის ვადით და შეიძლება ხელახლა იქნას არჩეული ერთი ან რამდენიმე ვადით. ხელახლა არჩევის პროცედურებს განსაზღვრავს IOC–ის აღმასრულებელი საბჭო.

2. ვალდებულებები:

IOC-ის ყოველ წევრს აკისრია შემდეგი ვალდებულებები:

დაემორჩილოს ოლიმპიურ ქარტიას, ეთიკის კოდექსსა და IOC-ის სხვა დებულებებს;

მონაწილეობა მიიღოს სესიებში;

მონაწილეობა მიიღოს იმ კომისიების მუშაობაში, რომლის შემადგენლობაშიცაა დანიშნული;

ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებასა და პროპაგანდას;

მონიტორინგი გაუწიოს IOC-ის პროგრამების განხორციელებას თავის ქვეყანაში და ოლიმპიური მოძრაობის იმ ორგანიზაციაში, სადაც იგი საქმიანობს;

მოთხოვნისამებრ აცნობოს პრეზიდენტს ოლიმპიური მოძრაობის განვითარების, პროპაგანდის და სხვა საჭიროებების შესახებ თავის ქვეყანაში და იმ ორგანიზაციაში, სადაც იგი საქმიანობს;

დაუყოვნებლივ აცნობოს პრეზიდენტს იმ მოვლენების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალონ ოლიმპიური ქარტიის შესრულებას ან სხვაგვარი უარყოფითი ზეგავლება იქონიონ ოლიმპიურ მოძრაობაზე მის ქვეყანაში და ოლიმპიური მოძრაობის იმ ორგანიზაციაში, სადაც იგი საქმიანობს;

შეასრულოს პრეზიდენტისგან მიღებული სხვა დავალებები.

3. წევრის სტატუსის დაკარგვა:

IOC-ის წევრის სტატუსის დაკარგვა ხდება შემდეგ გარემოებებში:

გადადგომა:

IOC-ის ნებისმიერ წევრს შეუძლია უარი თქვას წევრობაზე ნებისმიერ დროს, რისთვისაც პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება გადადგომის შესახებ. გადადგომის შესახებ ასეთი განცხადების დაკმაყოფილებამდე, IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ შესაძლოა ითხოვოს იმ წევრის მოსმენა, რომელმაც დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე.

ხელახლა არ-არჩევა:

IOC-ის ნებისმიერი წევრი კარგავს წევრის სტატუსს შემდგომი ფორმალობების გარეშე, თუ იგი არ იქნა ხელახლა არჩეული 16.1.7 წესის, მე-16.2.6 წესის განმარტებისა და მე-16.2.7 წესის განმარტების შესაბამისად.

ასაკობრივი შეზღუდვა:

IOC-ის ნებისმიერი წევრი კარგავს წევრის სტატუსს იმ კალენდარული წლის ბოლოს, როდესაც ხდება 70 წლის, მე-16.2.7.1 წესის განმარტების შესაბამისად.

სესიებზე დასწრებისა და IOC-ის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღების უუნარობა:

IOC-ის ნებისმიერ წევრს უწყდება წევრობის სტატუსი მისი მხრიდან ნებისმიერი დეკლარაციის წარდგენის გარეშე, თუ ის ფორს მაჟორული გარემოების გამო არ ესწრება სესიებს და არ იღებს აქტიურ მონაწილეობას IOC-ის მუშაობაში ზედიზედ ორი წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში წევრობის სტატუსის შეწყვეტას IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სესია.

საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ან ინტერესთა ძირითადი ცენტრის გადანაცვლება:

როგორც განსაზღვრულია 16.1.1.1 წესში, ნებისმიერი წევრი, რომელიც შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან საქმიანობის ძირითად პუნქტს და გადავა სხვა ქვეყანაში იმ ქვეყნიდან, სადაც იგი ცხოვრობდა არჩევისას, კარგავს წევრის სტატუსს.

ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას წევრობის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიტანს სესია IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.

მოქმედი სპორტსმენის სახით არჩეული წევრები:

IOC-ის ნებისმიერი წევრი, ზემოთ მოყვანილი 16.1.1.2 წესის თანახმად, კარგავს წევრის სტატუსს IOC-ის სპორტის კომისიის წევრობის შეწყვეტასთან ერთად.

პრეზიდენტები და პირები, რომლებსაც უკავიათ აღმასრულებელი ან უფროსი ხელმძღვანელი თანამდებობა NOC–ებში, NOC-ების მსოფლიო ან კონტინენტალურ ასოციაციებში, IF-ებში ან IF-ების ასოციაციებში ან IOC–ის მიერ აღიარებულ სხვა ორგანიზაციაში:

IOC-ის ნებისმიერი წევრი, ზემოთ მოყვანილი 16.1.1.3 ან 16.1.1.4 წესის თანახმად, კარგავს წევრის სტატუსს იმ ფუნქციის შესრულების შეწყვეტისას, რომელსაც იგი ასრულებდა არჩევის მომენტში.

გარიცხვა

წევრი შეიძლება გაირიცხოს სესიის გადაწყვეტილებით, თუ მან დაარღვია თავისი ფიცი ან თუ სესია თვლის, რომ წევრმა უგულვებელყო ან შეგნებულად დააყენა საფრთხის ქვეშ IOC-ის ინტერესები ან ჩაიდინა უღირსი საქციელი.

გადაწყვეტილება წევრის გარიცხვის თაობაზე მიიღება სესიის მიერ, IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილე ხმათა 2/3-ი. წევრს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მას მოუსმინონ; ეს უფლება მოიცავს ბრალდებასთან გაცნობის უფლებას და პირადად დასწრების ან წერილობითი დაცვის წარმოდგენის უფლებას.

გარიცხვის წარდგინებასთან დაკავშირებით სესიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ შეიძლება წევრობის სტატუსის წინასწარი შეჩერება შეუფარდოს წევრს და ჩამოართვას მას წევრობიდან გამომდინარე უფლებები, პრეროგატივები და ფუნქციები - მთლიანად ან ნაწილობრივ.

IOC–დან გარიცხული წევრი არ შეიძლება იყოს NOC–ის, NOC-ების ასოციაციის ან OCOG-ის წევრი.

4. საპატიო პრეზიდენტი – საპატიო წევრები – დამსახურებული წევრები

IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, სესიას შეუძლია აირჩიოს საპატიო პრეზიდენტად IOC-ის წევრი, რომელმაც როგორც პრეზიდენტმა განსაკუთრებული სამსახური გაუწია IOC-ს. საპატიო პრეზიდენტს უფლება აქვს შესთავაზოს კონსულტაციის გაწევა.

IOC–ის ნებისმიერი წევრი, რომელიც სულ ცოტა 10 წლის მანძილზე იყო IOC–ის წევრი და განსაკუთრებული სამსახური გაუწია IOC-ს, შეიძლება, IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, არჩეულ იქნას IOC-ის საპატიო წევრად სესიის მიერ.

IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, სესიას შეუძლია დამსახურებულ წევრად აირჩიოს გამოჩენილი პიროვნება, რომელიც არ არის IOC–ის წევრი, და რომელმაც განსაკუთრებული სამსახური გაუწია IOC-ს.

საპატიო პრეზიდენტის, საპატიო წევრების და დამსახურებული წევრების სტატუსი ძალაშია სიცოცხლის ბოლომდე. მათ არა აქვთ ხმის მიცემის უფლება, არ არიან შესაფერისი IOC-ის რომელიმე ოფისისთვის. მათ არ მიესადაგებათ 16.1.1 – 1.5, 16.1.7, 16.2, 16.3 წესები, მე-16.1 და 16.2 წესების განმარტებები. მათი სტატუსი შეიძლება გაუქმდეს სესიის გადაწყვეტილებით.

მე- 16 წესის ოფიციალური განმარტება

1. შესაფერისობა

IOC-ის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი 18 წელს ზემოთ, შემდეგი პირობების დაცვით:

ამ პირის კანდიდატურა წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ 1.2 პუნქტის შესაბამისად;

ეს პირი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ 2.2 პუნქტში მოცემულ პირობებს;

ასეთი კანდიდატი უნდა შეამოწმოს და დაასახელოს სარეკომენდაციო კომიტეტმა;

ასეთი პირის არჩევა შეთავაზებულ უნდა იქნას სესიაზე IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

2. IOC–ის წევრების არჩევის პროცედურა

კანდიდატურების წარმოდგენა IOC–წევრებად არჩევისთვის:

IOC-ის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ პირებსა და ორგანიზაციებს: IOC-ის წევრებს, IF-ებს, IF-ების ასოციაციებს, NOC-ებს, და IOC–ის მიერ აღიარებულ სხვა ორგანიზაციებს.

კანდიდატების მიღება:

კანდიდატურები დასამტკიცებლად წერილობით უნდა წარედგინოს პრეზიდენტს და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ნებისმიერმა პირმა ან ორგანიზაციამ, რომელიც წარადგენს კანდიდატურას IOC–ის წევრობაზე, გარკვევით უნდა მიუთითოს თითოეულ კანდიდატზე, რომ მისი წარდგენა ხდება: ა) მოქმედი სპორტსმენის სახით, ბ) პუნქტი 2.2.2-ს შესაბამისად, გ) კანდიდატს გააჩნია თანამდებობა, რომელსაც ასრულებს ქვემოთ, პუნქტ 2.2.3 ან 2.2.4 ჩამოთვლილ ერთ-ერთ ორგანიზაციაში, ან დ) კანდიდატი წარმოადგენს დამოუკიდებელ პიროვნებას, ქვემოთ, პუნქტი 2.2.5-ის შესაბამისად.

თუ კანდიდატი წარდგენილია, როგორც მოქმედი სპორტსმენი, 16.1.1.2 წესის თანახმად, ასეთი კანდიდატი არჩეულ უნდა იქნას ან დაინიშნოს IOC-ის სპორტსმენთა კომისიაში არა უგვიანეს იმ ოლიმპიური თამაშების შემდგომი ოლიმპიადის ან ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებისა, რომელშიც ამ კანდიდატმა უკანასკნელად მიიღო მონაწილეობა.

თუ კანდიდატი საქმიანობას ეწევა თანამდებობაზე, რომელსაც ასრულებს IF-ში ან IF-ების ასოციაციაში, ან IOC-ის მიერ აღიარებულ ორგანიზაციაში 3.5 წესის შესაბამისად, კანდიდატი უნდა დაინიშნოს პრეზიდენტის ოფისში ან აღმასრულებელ ან უფროს ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

თუ კანდიდატი საქმიანობას ეწევა თანამდებობაზე, რომელსაც ასრულებს NOC-ში ან NOC-ების კონტინენტალურ ან მსოფლიო ასოციაციაში, კანდიდატი

უნდა დაინიშნოს პრეზიდენტის ოფისში ან აღმასრულებელ ან უფროს ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

ნებისმიერი სხვა კანდიდატი უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ პირს, რომელიც იმ ქვეყნის მოქალაქეა, სადაც მისი საცხოვრებელი ადგილი ან ინტერესების ცენტრია განთავსებული და სადაც ფუნქციონირებს NOC.

სარეკომენდაციო კომისია:

სარეკომენდაციო კომისია შედგება შვიდი წევრისგან, სამ მათგანს ირჩევს IOC-ის ეთიკის კომისია, სამს – სესია, ერთს კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კომისია. სარეკომენდაციო კომისიის წევრების არჩევა ხდება ოთხი წლის ვადით; შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.

სარეკომენდაციო კომისიის დანიშნულებას წარმოადგენს ყოველი კანდიდატის შემოწმება 2.4.2. პუნქტის შესაბამისად და წერილობითი ანგარიშის წარდგენა IOC–ისთვის.

სარეკომენდაციო კომისია ნიშნავს თავის თავმჯდომარეს.

კანდიდატების შემოწმება სარეკომენდაციო კომისიის მიერ:

კანდიდატურის მიღების შემდეგ პრეზიდენტი გადაუგზავნის მას სარეკომენდაციო კომისიის თავმჯდომარეს. გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა, სარეკომენდაციო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული ნებისმიერი კანდიდატურა განხილულ უნდა იქნას არა უგვიანეს ექვსი თვისა შემდეგი სესიის გახსნის დღემდე, რათა IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ შეძლოს მისი წარდგენა ასეთ სესიაზე.

სარეკომენდაციო კომისია შეაგროვებს საჭირო ინფორმაციას კანდიდატის შესახებ, კერძოდ, მისი პროფესიული და მატერიალური მდგომარეობის შესახებ, ასევე მისი კარიერისა და სპორტული საქმიანობის თაობაზე; კომისიამ შესაძლოა მოსთხოვოს კანდიდატს რეკომენდაციების წარმოდგენა ისეთი პირებისგან, რომლებსაც მასზე ინფორმაციის მიწოდება შეეძლებათ; კომისიას შეუძლია მიიწვიოს კანდიდატი გასაუბრებაზე.

კომისია შეამოწმებს ყველა კანდიდატის შესაფერისობას, წარმომავლობას და მიღების შესაძლებლობას და ამავე დროს საჭიროების შემთხვევაში შეისწავლის კანდიდატის სტატუსს, როგორც მოქმედი სპორტსმენის სახით ან მასზე დაკისრებულ ფუნქციასთან მიმართებაში.

სარეკომენდაციო კომისია წერილობით ანგარიშს წარუდგენს IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს ყოველი კანდიდატურის შესაფერისობის, წარმომავლობისა და მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომელშიც იგი დაასაბუთებს თავის მოსაზრებებს, თუ რატომ თვლის, რომ კანდიდატს გააჩნია ან არ გააჩნია საჭირო თვისებები, რომ არჩეულ იქნას IOC–ის წევრად.

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ განსახორციელებელი პროცედურა:

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენცია მოიცავს მხოლოდ კანდიდატურის წარდგინებას სესიისთვის. კანდიდატურის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, IOC-ის აღმასრულებელი საბჭო, არა უგვიანეს ერთი თვით ადრე მის გახსნამდე, წარუდგენს სესიას წერილობით შეთავაზებას, რომელსაც თან ერთვის სარეკომენდაციო კომისიის ანგარიში. IOC-მა შესაძლოა მოუსმინოს კანდიდატს. მან შეიძლება წარადგინოს რამდენიმე კანდიდატურა ერთი წევრის ადგილზე.

ზემოთ აღნიშნული 2.2.1 და 2.2.2 პუნქტების შესაბამისად მოქმედი სპორტსმენების კანდიდატურების შემოწმების პროცედურა შეიძლება დაჩქარდეს,ხოლო 2.4.1 და 2.5.1 პუნქტებში მოცემული ვადები შეიცვალოს იმდენად, რამდენადაც საჭიროა IOC –ის წევრად IOC–ის სპორტსმენთა კომისიაში ახლად არჩეულ აქტიურ სპორტსმენთა სწრაფად არჩევისთვის.

სესიის მიერ განსახორციელებელი პროცედურა:

სესიის კომპეტენციას წარმოადგენს მხოლოდ IOC–ის წევრის არჩევა.

სარეკომენდაციო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, რომ აცნობოს სესიას აღნიშნული კომისიის მოსაზრება.

სესია კენჭისყრით ირჩევს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ წარდგენილ IOC–ის წევრობის კანდიდატებს; ხმების მიცემა ხდება დახურული წესით; გადაწყვეტილების მიღება კი - ხმათა უმრავლესობით.

გარდამავალი პერიოდის დებულებები:

IOC-ის მიერ დადგენილი უფლებები იმ წევრებზე, რომელთა არჩევა მოხდა 110-ე სესიის დახურვის თარიღამდე (1999 წ. 11 დეკემბერი), ყალიბდება შემდეგნაირად:

IOC-ის ნებისმიერი წევრი, რომელიც არჩეულ იქნა 110-ე სესიის დახურვის თარიღამდე (1999 წ. 11 დეკემბერი), უნდა გადადგეს იმ კალენდარული წლის ბოლოს, როდესაც მას 80 წელი უსრულდება, თუ იგი 1966 წლამდე არ იქნა არჩეული; თუ წევრი ამ ასაკობრივ ზღვარს აღწევს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრის თანამდებობაზე, მისი გადადგომა უნდა მოხდეს მომდევნო სესიის დახურვისას.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი 2.7.1 პუნქტისა, IOC-ის ის წევრები, რომელთა არჩევა მოხდა 110-ე სესიის დახურვის თარიღამდე (1999 წ. 11 დეკემბერი), და რომლებსაც არ მიუღწევიათ ზემოთ 2.7.1 პუნქტში აღნიშნული ასაკისთვის, ექვემდებარებიან სესიის მიერ ხელახლა არჩევას, კერძოდ მათი ერთი მესამედი- 2007 წ., ერთი მესამედი- 2008 წ. და ერთი მესამედი – 2009 წ., ზემოთ 2.6 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით კენჭისყრა ჩატარდა 111-ე სესიაზე.

ლიმიტი წევრად თითო ქვეყნიდან ერთი მოქალაქის არჩევაზე, როგორც მოცემულია 16.1.1.1. წესის ბოლო წინადადებაში, არ ვრცელდება IOC-ის იმ წევრებზე, რომელთა არჩევა მოხდა 110-ე სესიის დახურვის თარიღამდე (1999 წ. 11 დეკემბერი).

2007 წლის 31 დეკემბრამდე IOC-ის წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 130-ს.

3. წევრების რეესტრი:

IOC-ის აღმასრულებელი საბჭო აწარმოებს IOC-ის ყველა წევრის, საპატიო პრეზიდენტის, საპატიო წევრებისა და დამსახურებული წევრების განახლებად რეესტრს. რეესტრში აღნიშნულია ყოველი წევრის კანდიდატად დაყენების საფუძველი და მითითებულია - წევრის კანდიდატურა წარმოდგენილ იქნა როგორც აქტიური სპორტსმენის, სხვა თანამდებობის პირის, თუ როგორც დამოუკიდებელი პირის სახით.

4. საპატიო პრეზიდენტი – საპატიო წევრები – დამსახურებული წევრები

საპატიო პრეზიდენტი მოიწვევა ოლიმპიურ თამაშებზე, ოლიმპიურ კონგრესებზე, სესიებზე და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს შეკრებებზე დასასწრებად, და მისი ადგილი დაჯავშნულია პრეზიდენტის ადგილის გვერდით. იგი უფლებამოსილია შესთავაზოს საკუთარი რჩევა ან რეკომენდაცია.

საპატიო წევრები მოიწვევიან ოლიმპიურ თამაშებზე, ოლიმპიურ კონგრესებზე და სესიებზე დასასწრებად, სადაც ადგილები იჯავშნება ყოველი მათგანისთვის; ისინი ატარებენ კონსულტაციებს პრეზიდენტის თხოვნით.

დამსახურებული წევრები მოიწვევიან ოლიმპიურ თამაშებზე და ოლიმპიურ კონგრესებზე დასასწრებად, სადაც ყოველი მათგანისთვის იჯავშნება ადგილები. პრეზიდენტს შეუძლია მიიწვიოს ისინი IOC-ის შეკრებებზე ან ღონისძიებებზე დასასწრებად.

17. ორგანიზაციული სტრუქტურა

IOC-ის უფლებამოსილებანი ხორციელდება მისი ორგანოების მიერ, კერძოდ:

1. სესია
2. IOC–ის აღმასრულებელი საბჭო
3. პრეზიდენტი

18. სესია*

1. სესია წარმოადგენს IOC-ის წევრების გენერალურ შეკრებას. იგი IOC-ის უზენაესი ორგანოა. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. რიგითი სესია ტარდება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე სესიის მოწვევა შესაძლებელია პრეზიდენტის მიერ ან წევრთა ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2. სესიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებანი:

მიიღოს და ცვლილება შეიტანოს ოლიმპიურ ქარტიაში;

აირჩიოს IOC–ის წევრები, საპატიო პრეზიდენტი, საპატიო წევრები და დამსახურებული წევრები;

აირჩიოს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა სხვა წევრი;

აირჩიოს ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი;

დაადგინოს ქალაქი, სადაც უნდა ჩატარდეს რიგითი სესია; რიგგარეშე სესიის ჩასატარებლად ქალაქის დადგენის უფლებამოსილება აქვს პრესიდენტს;

დაამტკიცოს IOC-ის წლიური საანგარიშო მოხსენება და ანგარიშები;

დანიშნოს IOC–ის აუდიტები;

გამოიტანოს გადაწყვეტილება IOC–ის მიერ NOC-ების, NOC-ების ასოციაციების, IF-ების, IF-ების ასოციაციების და სხვა ორგანიზაციების სრული აღიარების გაცემასა ან გაუქმებასთან დაკავშირებით;

გარიცხოს IOC-ის წევრები და გააუქმოს საპატიო პრეზიდენტის, საპატიო წევრებისა და დამსახურებული წევრების სტატუსი;

მოაგვაროს და გადაწყვეტილება მიიღოს მისთვის კანონით დაკისრებულ და ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

3. სესიისთვის საჭირო ქვორუმია IOC-ის წევრების მთლიანი რაოდენობის ნახევარს პლუს ერთი. სესიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით; თუმცა, ოლიმპიზმის ფუნდამენტური პრინციპების ან ოლიმპიური ქარტიის ცვლილებების მისაღებად საჭიროა სესიაზე დამსწრე IOC-ის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობის ხმები.

4. ყოველ წევრს გააჩნია ერთი ხმა. თავის შეკავება ან გაუქმებული ხმები საჭირო უმრავლესობის დათვლისას მხედველობაში არ მიიღება. სხვის ნაცვლად ხმის მიცემა არ არის ნებადართული. ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრით, ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნისამებრ, ან თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს თავმჯდომარე, ან დამსწრე წევრთა სულ ცოტა ერთი მეოთხედი. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს თავმჯდომარე.

5. 18.3 და 18.3 წესების დებულებები მიესადაგება როგორც პიროვნების, ასევე მასპინძელი ქალაქის არჩევნებს. თუმცა, თუ არის ან რჩება მხოლოდ ორი კანდიდატი, არჩეულად ცხადდება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა უმეტესობას მიიღებს.

6. სესიას შეუძლია გადასცეს უფლებამოსილება IOC–ის აღმასრულებელ საბჭოს.

მე-18 წესის ოფიციალური განმარტება

1. *IOC–ის აღმასრულებელი საბჭო პასუხისმგებელია სესიების ორგანიზებასა და მომზადებაზე, შესაბამისი ფინანსური საკითხების ჩათვლით.*

2. *შეტყობინება რიგითი სესიის ჩატარების თარიღის თაობაზე უნდა გაეგზავნოს IOC–ის ყველა წევრს სესიის გახსნამდე სულ ცოტა 6 თვით ადრე. სესიაზე ოფიციალურად მოწვევა ხდება პრეზიდენტის ბრძანებით, მის ჩატარებამდე სულ ცოტა 30 დღით ადრე – თუ რიგითი სესიაა და სულ ცოტა 10 დღით ადრე, თუ რიგგარეშე სესიაა; მოწვევას თან ახლავს დღის წესრიგი, სადაც მოცემულია შეკრებაზე განსახილველი საკითხები.*

3. *სესიის თავმჯდომარეა პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის ან უუნარობის შემთხვევაში – დამსწრე ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც თანამდებობით უფროსია ასეთ ოფისში, ან, ამ უკანასკნელის არყოფნის ან უუნარობის შემთხვევაში – IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს თანამდებობით უფროსი, ადგილზე მყოფი წევრი.*

4. *სესიის ნებისმიერი გადაწყვეტილება, ოლიმპიური ქარტიის ცვლილებების ჩათვლით, ძალაში შედის დაუყოვნებლივ, თუ სესია არ გამოიტანს სხვაგვარ დადგენილებას. საკითხი, რომელიც არ არის შეტანილი დღის წესრიგში, შეიძლება განხილულ იქნას, წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით ან თავმჯდომარის ნებართვით.*

5. *IOC–ის წევრმა თავი უნდა შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისგან შემდეგ გარემოებებში:*

როდესაც კენჭისყრა ეხება ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევას, რომლის მოქალაქეც ეს წევრია;

როდესაც კენჭისყრა ეხება სესიის, ოლიმპიური კონგრესის ან ნებისმიერი სხვა შეკრების ან ღონისძიების ჩასატარებელი ადგილის არჩევას განთავსებულს იმ ქვეყნის ქალაქში ან სახელმწიფო იურისდიქციაში, რომლის მოქალაქეც ეს წევრია;

თუ IOC-ის წევრობის კანდიდატი მისი თანამემამულეა;

როდესაც კენჭისყრა ეხება IOC-ის აღმასრულებელი საბჭოში ან ნებისმიერ სხვა ოფისში ისეთი კანდიდატის არჩევას, რომელიც იმავე ქვეყნის მოქალაქეა;

როდესაც კენჭისყრა ეხება ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია იმ ქვეყანასთან, რომლის მოქალაქეცაა წევრი, ან ამ ქვეყნის NOC-თან;

კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებამოსილებაზე გაურკვევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას მიიღებს თავმჯდომარე.

6. *პრეზიდენტი ადგენს რეგლამენტს ყველა არჩევნების ჩასატარებლად, გარდა საპრეზიდენტო არჩევნებისა, როდესაც რეგლამენტი უნდა დადგინდეს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.*

7. *სესიებთან და კენჭისყრასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პროცედურას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ოლიმპიური ქარტიით, ადგენს პრეზიდენტი.*

8. *გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, IOC–ის წევრებისთვის კენჭისყრაზე გადაწყვეტილების წარდგენა პრეზიდენტის ან IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ შესაძლებელია კორესპონდენციით, მათ შორის – ფაქსით და ელექტრონული ფოსტით.*

9. *სესიის ოქმებისა და სხვა პროცედურების წარმოება ხორციელდება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით.*

19. IOC–ის აღმასრულებელი საბჭო*

1. შემადგენლობა:

   IOC-ის აღმასრულებელი საბჭო შედგება პრეზიდენტისგან, ოთხი ვიცე-პრეზიდენტისგან, და ათი სხვა წევრისგან. აღმასკომის წევრთა არჩევანი განსაზღვრავს სესიის შემადგენლობას. ყოველი არჩევნებისას სესიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ზემოთ აღნიშნული პრინციპის დაცვას.

2. არჩევნები, უფლებამოსილებათა ვადები, ხელახალი არჩევნები და ვაკანსიები:

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრი აირჩევა სესიის მიერ, ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტებისა და ათი სხვა წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ოთხი წლით. წევრის უფლებამოსილება IOC-ის აღმასრულებელ საბჭოში შესაძლებელია გაგრძელდეს ზედიზედ ორი ვადით, მიუხედავად თანამდებობისა, რომელზეც იგი იქნა არჩეული.

იმ შემთხვევაში, თუ წევრის უფლებამოსილება გაგრძელდა ორი თანმიმდევრული ვადის განმავლობაში ზემოთ მოყვანილი 19.2.2. პუნქტის შესაბამისად, ის კვლავ შეიძლება არჩეულ იქნას IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრად მინიმუმ ორი წლის გასვლის შემდეგ. ეს არ ეხება პრეზიდენტის ოფისის წევრთა არჩევნებს, სადაც ასეთი შუალედური ვადა არ არსებობს.

ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში სხვა ოფისებში - გარდა პრეზიდენტის ოფისისა – კომპეტენტურ წევრს ოთხი წლის ვადით ირჩევს შემდეგი სესია.

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრის უფლებამოსილების ვადა და განახლებული ვადა იწყება იმ სესიის დასასრულიდან, რომელზეც მოხდა მათი არჩევა. მათი უფლებამოსილების ვადა ამოიწურება რიგითი სესიის დასასრულს, რომელიც ჩატარდება მათი უფლებამოსილების ამოწურვის წელს.

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

ამ წესის თანახმად, "წელი" ნიშნავს პერიოდს ზედიზედ ორ რიგით სესიას შორის.

3. უფლებამოსილება, ვალდებულებები და მოვალეობები:

IOC-ის აღმასრულებელი საბჭო იღებს საერთო პასუხისმგებლობას IOC-ის ხელმძღვანელობასა და მისი საქმეების მართვასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:

მონიტორინგს უწევს ოლიმპიური ქარტიის დაცვას;

ამტკიცებს საერთაშორისო მარეგულირებელ დებულებებს თავის ორგანიზაციებთან მიმართებაში;

ადგენს წლიურ საანგარიშო მოხსენებას, მათ შორის წლიურ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით, რომელსაც წარუდგენს სესიას აუდიტების დასკვნასთან ერთად;

წარუდგენს სესიას მოხსენებას წესის ან წესის ოფიციალური განმარტების ცვლილებასთან დაკავშირებით;

წარუდგენს სესიას იმ პირების გვარებს, რომლებსაც რეკომერდაციას უწევს IOC–ში ასარჩევად;

ადგენს და ზედამხედველობას უწევს ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად კანდიდატურების მიღებისა და შერჩევის პროცედურას;

ადგენს სესიების დღის წესრიგს;

პრეზიდენტის შეთავაზებით, ნიშნავს თანამდებობაზე – ან ათავისუფლებს თანამდებობიდან – გენერალურ დირექტორს. პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას კომპენსაციის თაობაზე და შეუძლია გაატაროს სანქციები;

უზრუნველყოფს ოქმების, ფინანსური ანგარიშებისა და IOC–ის სხვა დოკუმენტების უსაფრთხოდ, კანონის შესაბამისად წარმოებას, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოსა და სხვა კომისიებისა და მუშა ჯგუფების სხდომების ჩათვლით;

გამოაქვს გადაწყვეტილებები და გამოსცემს IOC-ის დებულებებს, რომლებიც იურიდიულად სავალდებულოა, იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩათვლის საჭიროდ, როგორიცაა, მაგ. კოდექსები, დადგენილებები, ნორმები, სახელმძღვანელო პრინციპები, ცნობარები, სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები, მოთხოვნები და სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც, მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ყველა იმ დებულებებით, რაც საჭიროა ოლიმპიური ქარტიის სათანადოდ დაცვისა და ოლიმპიური თამაშების სათანადოდ ორგანიზების უზრუნველყოფისთვის;

ორგანიზაციას უკეთებს IF-ებთან და NOC-ებთან პერიოდულ შეხვედრებს სულ ცოტა ორ წელიწადში ერთხელ. ასეთი შეკრების თავმჯდომარეა IOC-ის პრეზიდენტი, რომელიც ადგენს პროცედურასა და დღის წესრიგს შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ;

განსაზღვრავს და ანიჭებს IOC-ის საპატიო ჯილდოებს;

სარგებლობს ყველა უფლებამოსილებით და ასრულებს ყველა მოვალეობას, რომელიც კანონით ან ოლიმპიური ქარტიით არ ევალება სესიას ან პრეზიდენტს.

4. უფლებამოსილებათა გადაცემა:

IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია გადასცეს უფლებამოსილება თავის ერთ ან რამდენიმე წევრს, IOC-ის კომისიებს, IOC-ის ადმინისტრაციის წევრებს, და სხვა ერთეულებს ან მესამე პირებს.

მე-19 წესის ოფიციალური განმარტება

1. *პრეზიდენტი პასუხისმგებელია IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა შეკრების ორგანიზებასა და მომზადებაზე. მას შეუძლია ამ მიზნით თავისი უფლებამოსილება, სრულად ან ნაწილობრივ, გადასცეს გენერალურ დირექტორს.*

2. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭო იკრიბება პრეზიდენტის მოწვევით ან წევრთა უმრავლესობის თხოვნით მის ჩატარებამდე სულ ცოტა ათი დღით ადრე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შეკრებაზე განსახილველი საკითხი.*

3. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომის თავმჯდომარეა პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის ან უუნარობის შემთხვევაში – დამსწრე ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც თანამდებობით უფროსია ასეთ ოფისში, ან, ამ უკანასკნელის არყოფნის ან უუნარობის შემთხვევაში – IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს თანამდებობით უფროსი, ადგილზე მყოფი წევრი.*

4. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ჩასატარებლად საჭირო ქვორუმია რვა.*

5. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.*

6. *ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების დათვლისას თავის შეკავება ან გაუქმებული ხმები არ მიიღება მხედველობაში. მინდობილობით ხმის მიცემა არ არის ნებადართული. ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრით, თუ ასე მოითხოვს ოლიმპიური ქარტია, ან თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს თავმჯდომარე, ან დამსწრე წევრთა სულ ცოტა ერთი მეოთხედის მოთხოვნით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სხდომის თავმჯდომარე.*

7. IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა თავი უნდა შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისგან მე-18.5 წესის განმარტებაში ჩამოთვლილ გარემოებებში.

თუ წევრი არ არის დარწმუნებული მიიღოს თუ არა მან მონაწილეობა კენჭისყრაში, გადაწყვეტილებას ამის თაობაზე იღებს თავმჯდომარე.

8. IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომასთან დაკავშირებული პროცედურების ნებისმიერ საკითხს, რომელსაც არ მოიცავს ოლიმპიური ქარტია, ადგენს პრეზიდენტი.

9. IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია ჩაატაროს სხდომა ტელეკონფერენციის ან ვიდეოკონფერენციის სახით.

10. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, კენჭისყრისთვის დადგენილების ან გადაწყვეტილების წარდგენა პრეზიდენტის მიერ IOC-ის აღმასრულებელი საბჭოსთვის შესაძლებელია კორესპონდენციით, მათ შორის – ფაქსით და ელექტრონული ფოსტით.

11. ყველა სხდომის ოქმებისა და სხვა პროცედურების წარმოება ხორციელდება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით.

20. პრეზიდენტი*

1. სესია პრეზიდენტს ირჩევს თავისი წევრებიდან, ფარული კენჭისყრით, რვა წლის ვადით, რომლის განახლება შეიძლება ერთხელ, ოთხი წლით.

2. პრეზიდენტი წარმოადგენს IOC–ს და ხელმძღვანელობს მის ნებისმიერ საქმიანობას.

3. პრეზიდენტს შეუძლია განახორციელოს ქმედება ან მიიღოს გადაწყვეტილება IOC–ის სახელით, თუ გარემოებები არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ეს განხორციელდეს სესიის ან IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს საშუალებით. ასეთი ქმედება ან გადაწყვეტილება სასწრაფოდ უნდა წარედგინოს კომპეტენტურ ორგანოს რატიფიკაციისთვის.

4. თუ პრეზიდენტს არ შესწევს დაკისრებული მოვალეობების შესრულების უნარი თავის ოფისში, მას შეცვლის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც თანამდებობით უფროსია ოფისში, პრეზიდენტის უნარის აღდგენამდე, ან, მისი პერმანენტული უუნარობის შემთხვევაში, შემდეგ სესიაზე ახალი პრეზიდენტის არჩევამდე. ახალი პრეზიდენტი აირჩევა რვა წლის ვადით, რომლის განახლება შეიძლება ერთხელ, ოთხი წლით.

მე-20 წესის ოფიციალური განმარტება

1. კანდიდატურები პრეზიდენტის თანამდებობაზე ცხადდება იმ სესიის გახსნამდე სამი თვით ადრე, რომელზეც უნდა ჩატარდეს არჩევნები.

თუმცა, ეს ვადა შეიძლება შეიცვალოს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ, მისი აზრით, გარემოებები ამართლებს ასეთ ცვლილებას.

2. *გარდა 20.3 წესში მოცემული დებულებისა, პრეზიდენტის არჩევა ხდება ოლიმპიადის მეორე წელს ჩატარებულ სესიაზე.*

21. IOC–ის კომისიები*

IOC-ის კომისიები შეიძლება შეიქმნას სესიისთვის, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოსთვის და პრეზიდენტისთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით, როგორც მოითხოვს გარემოება. პრეზიდენტი საჭიროებისამებრ ქმნის მუდმივ ან სხვა რეგულარულ ან საგანგებო კომისიებსა და მუშა ჯგუფებს. თუ სპეციალურად არ არის სხვაგვარად მითითებული ოლიმპიური ქარტიით ან IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული დებულებებით, პრეზიდენტი განსაზღვრავს მათ ტექნიკურ დავალებებს, ნიშნავს კომისიის წევრებს და იღებს გადაწყვეტილებას ამ კომისიების დაშლის თაობაზე, თუ ჩათვლის, რომ მათ შეასრულეს თავისი დანიშნულება. არცერთი კომისიისა და მუშა ჯგუფის არცერთი შეკრება არ შეიძლება ჩატარდეს პრეზიდენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, თუ სპეციალურად არ არის სხვაგვარად მითითებული ოლიმპიური ქარტიით ან IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული დებულებებით. პრეზიდენტი თანამდებობრივად ყველა კომისიისა და მუშა ჯგუფის წევრია და მათ სხდომაზე დასწრებისას ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას.

21-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *IOC–ის სპორტსმენთა კომისია*

IOC–ის სპორტსმენთა კომისია უნდა შეიქმნას და დაკომპლექტდეს ისე, რომ მისი წევრების უმრავლესობას შეადგენდნენ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა მიერ არჩეული სპორტსმენები. არჩევნები უნდა ჩატარდეს ოლიმპიადის თამაშების ან ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს, იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც მიიღო IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ სპორტსმენთა კომისიასთან კონსულტაციით და გადასცა IF–ებსა და NOC–ებს არა უგვიანეს ერთი წლით ადრე იმ ოლიმპიურ თამაშებამდე, რომელთა დროსაც უნდა ჩატარდეს არჩევნები.

IOC–ის სპორტსმენთა კომისიის ნებისმიერი დებულება და პროცედურა დამტკიცებული უნდა იყოს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ სპორტსმენთა კომისიასთან კონსულტაციის შემდეგ.

2. *IOC–ის ეთიკის კომისია*

IOC–ის ეთიკის კომისია უნდა შედგეს 22-ე წესისა და 22-ე წესის განმარტების შესაბამისად.

3. *IOC–ის სარეკომენდაციო კომისია*

IOC–ის წევრებად არჩევის მიზნით მე- 16.2.3 წესის განმარტების შესაბამისად კანდიდატების შესაფასებლად უნდა ჩამოყალიბდეს IOC–ის სარეკომენდაციო კომისია.

კომისიის დებულებები და პროცედურები მასთან უშუალო კონსულტაციის შემდეგ უნდა დაამტკიცოს IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ.

4. ოლიმპიური სოლიდარობის კომისია:

ოლიმპიური სოლიდარობის კომისია იქმნება მე-5 წესისა და მე-5 წესის განმარტების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.

5. კანდიდატი ქალაქების შეფასების კომისიები:

ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების მასპინძლობაზე განაცხადების შემომტანი კანდიდატი ქალაქების შესამოწმებლად პრეზიდენტი მე-34.2.2 წესის განმარტების შესაბამისად ქმნის ორ კომისიას.

6. ოლიმპიური თამაშების საკოორდინაციო კომისიები:

ოლიმპიური თამაშების ორგანიზების გაუმჯობესებისა და IOC–ს, OCOG–ებს, IF-ებსა და NOC–ებს შორის თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით პრეზიდენტი ქმნის საკოორდინაციო კომისიებს 38-ე წესისა და 38–ე წესის განმარტების შესაბამისად.

7. IOC-ის სამედიცინო კომიისია

> *პრეზიდენტი ქმნის სამედიცინო კომისიას, რომლის ტექნიკურ დავალებაშიც უნდა შედიოდეს შემდეგი მოვალეობები:*

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის და IOC-ის სხვა ანტი-დოპინგური წესების შესრულება, განსაკუთრებით ოლიმპიურ თამაშებზე;

სპორტსმენების სამედიცინო დახმარებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება.

> *სამედიცინო კომისიის წევრებმა ოლიმპიურ თამაშებზე არ უნდა იმოქმედონ მედიკოსების სახით NOC–ის დელეგაციისთვის და ასევე არ უნდა მიიღონ მონაწილეობა დისკუსიებში მათი შესაბამისი NOC–ების დელეგაციათა ანტი-დოპინგურ კოდექსთან შეუსაბამობის საკითხებზე.*

8. პროცედურა:

IOC-ის ყოველი კომისიის თავმჯდომარეა IOC–ის წევრი. IOC-ის კომისიებს შეუძლიათ ჩაატარონ შეკრებები ტელეკონფერენციის ან ვიდეოკონფერენციის სახით.

22. IOC–ის ეთიკის კომისია*

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

IOC-ის ეთიკის კომისიას ევალება ეთიკური პრინციპების განსაზღვრა და განახლება, მათ შორის, ეთიკის კოდექსის, რომელიც ეყრდნობა ოლიმპიურ ქარტიაში მოცემულ ფასეულობებსა და პრინციპებს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. გარდა ამისა, იგი გამოიკვლევს ასეთი ეთიკური პრინციპების, მათ შორის ეთიკური კოდექსის დარღვევებთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრეტენზიებს, და, საჭიროების შემთხვევაში, სთავაზობს სანქციებს IOC–ის აღმასრულებელ საბჭოს.

22-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *IOC–ის ეთიკის კომისიის დაკომპლექტება და ორგანიზაციული სტრუქტურა მოცემულია მის წესდებაში.*

2. *ეთიკის კოდექსის, IOC-ის ეთიკის კომისიის წესდების და IOC-ის ეთიკის კომისიისგან გამომდინარე ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი და ტექნიკური დებულებების ნებისმიერი ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინება IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს.*

23. გასატარებელი პროცედურები და სანქციები*

ოლიმპიური ქარტიის, მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის ან ნებისმიერი სხვა დებულების დარღვევის შემთხვევაში, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ან 2.4-ში მითითებული დისციპლინარული კომისიის მიერ შეიძლება დაკისრებულ იქნას შემდეგი სანქციები:

1. ოლიმპიური მოძრაობის კონტექსტში:

IOC–ის წევრების, საპატიო პრეზიდენტის, საპატიო წევრებისა და დამსახურებული წევრების მიმართ:

ა) საყვედურის გამოცხადება IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ;

ბ) კონკრეტული პერიოდით უფლებამოსილებათა შეჩერების გამოცხადება IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ. შეჩერება შეიძლება შეეხოს შესაბამისი პიროვნების წევრობიდან გამომდინარე ყველა უფლებას, პრეროგატივას და ფუნქციას ან მათ ნაწილს.

ზემოთ აღნიშნული სანქციები შესაძლოა კომბინირებულ ხასიათს ატარებდეს. მათი დაკისრება შეიძლება საპატიო პრეზიდენტის, საპატიო წევრებისა და დამსახურებული წევრებისთვის ისეთი საქციელისთვის, რომელიც საფრთხეს უქმნის IOC-ის ინტერესებს, განურჩევლად იმისა, ოლიმპიური ქარტია იქნა დარღვეული თუ სხვა დებულებები.

IF–ების მიმართ:

ა) ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღება:

- სპორტის სახეობის (სესია),
- დისციპლინის (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო),
- ან ღონისძიების (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

ბ) წინასწარი აღიარების გაუქმება (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

გ) საბოლოო აღიარების გაუქმება (სესია).

IF–ების ასოციაციების მიმართ:

ა) წინასწარი აღიარების გაუქმება (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

ბ) საბოლოო აღიარების გაუქმება (სესია).

NOC–ების მიმართ:

ა) უფლებამოსილების შეჩერება (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო); ასეთ შემთხვევაში IOC-ის აღმასრულებელი საბჭო განსაზღვრავს ასეთი სანქციის შედეგებს შესაბამისი NOC–ისა და მისი სპორტსმენებისთვის;

ბ) წინასწარი აღიარების გაუქმება (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

გ) საბოლოო აღიარების გაუქმება (სესია); ასეთ შემთხვევაში NOC–ს ჩამოერთმევა ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად მიცემული ყველა უფლება;

დ) სესიის ან ოლიმპიური კონგრესის ჩატარების უფლების ჩამორთმევა (სესია).

NOC–ების ასოციაციების მიმართ:

ა) წინასწარი აღიარების გაუქმება (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

ბ) საბოლოო აღიარების გაუქმება (სესია).

მასპინძელი ქალაქის, OCOG-ისა და NOC–ის მიმართ:
ოლიმპიური თამაშების ორგანიზების უფლების ჩამორთმევა (სესია).

განაცხადის წარმდგენი ან კანდიდატი ქალაქების და NOC–ების მიმართ (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო):

ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატობის ან განაცხადის შეტანის უფლების ჩამორთმევა.

აღიარებული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიმართ:

ა) წინასწარი აღიარების გაუქმება (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

ბ) საბოლოო აღიარების გაუქმება (სესია).

2. ოლიმპიური თამაშების კონტექსტში, ოლიმპიური ქარტიის ან მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის, IOC-ის ან ნებისმიერი IF–ის და NOC-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან შესაბამისი დებულების დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება IOC-ის ეთიკური კოდექსით, ნებისმიერი შესაბამისი სახელმწიფო კანონით ან დებულებით, ან არასათანადო ქმედების შემთხვევაში:

ინდივიდუალური სპორტსმენებისა და გუნდების მიმართ: ოლიმპიური თამაშებისთვის დროებითი ან მუდმივი შეუფერებლობა ან გარიცხვა, დისკვალიფიკაცია ან აკრედიტაციის ჩამორთმევა; დისკვალიფიკაციისა და გარიცხვის შემთხვევაში ოლიმპიური ქარტიის დარღვევით მიღებული მედლები და დიპლომები უბრუნდება IOC-ს. გარდა ამისა, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს შეხედულებისამებრ, სპორტსმენმა ან გუნდმა შესაძლოა დაკარგოს ოლიმპიური თამაშების პერიოდში სხვა შეჯიბრებებში მოპოვებული ადგილი, რომლის დროსაც მოხდა მისი დისკვალიფიკაცია ან გარიცხვა; ასეთ შემთხვევაში სპორტსმენის ან გუნდის მიერ მოპოვებული მედლები და დიპლომები უბრუნდება IOC-ს (აღმასრულებელი საბჭო);

თანამდებობის პირებთან, მენეჯერებთან და დელეგაციის სხვა წევრებთან, აგრეთვე არბიტრებისა და მსაჯთა კოლეგიის წევრებთან მიმართებაში: დროებითი ან მუდმივი შეუსაბამობა ან ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის აკრძალვა (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

ყველა სხვა აკრედიტებულ პირთან მიმართებაში: აკრედიტაციის ჩამორთმევა (IOC-ის აღმასრულებელი საბჭო);

IOC–ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია უფლებამოსილების გადაცემა დისციპლინარული კომისიისთვის.

3. ნებისმიერი სანქციის დაკისრებამდე IOC-ის კომპეტენტური ორგანო გასცემს ოფიციალურ გაფრთხილებას.

4. ნებისმიერი სანქციის დაკისრება ხდება IOC-ის ან ნებისმიერი სხვა ორგანოს – რომლებიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება NOC–ებით და IF-ებით - სხვა უფლებებზე ზემოქმედების გარეშე.

23-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. ნებისმიერი კვლევა იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს შესაბამისი პროცედურების გატარება ან სანქციების დაკისრება, წარმოებს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილებით, რომელმაც შესაძლოა სხვას გადასცეს თავისი უფლებამოსილებები – მთლიანად ან ნაწილობრივ – ასეთ საკითხთან მიმართებაში.

2. ნებისმიერი კვლევის პროცესში IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ შესაძლოა წინასწარ ჩამოართვას შესაბამის პიროვნებას ან ორგანიზაციას ასეთი პიროვნების ან ორგანიზაციის წევრობის სტატუსიდან გამომდინარე უფლებები, პრეროგატივები და ფუნქციები – მთლიანად ან ნაწილობრივ.

3. ნებისმიერ პირს, გუნდს ან სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს მოსმენილ იქნას IOC-ის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელმაც უნდა დააკისროს ასეთ პიროვნებას, გუნდს ან იურიდიულ პირს სათანადო სანქციები. მოსმენის უფლება, ამ მუხლის შესაბამისად, ნიშნავს ბრალდების გაცნობის უფლებას, პროცესზე პირადად გამოცხადების ან დაცვის წერილობითი სახით წარდგენის უფლებას.

4. სესიის, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ან 23.2.4 პუნქტში აღნიშნული დისციპლინარული კომისიის მიერ დადგენილი ნებისმიერი სასჯელი ან სანქცია შესაბამის მხარეს გადაეცემა წერილობითი ფორმით.

5. ნებისმიერი სასჯელი ან სანქცია ძალაში შედის დაუყოვნებლივ, თუ კომპეტენტური ორგანო არ გამოიტანს სხვაგვარ გადაწყვეტილებას.

24. ენები

1. IOC-ის ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური.

2. სესიებზე უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, რუსულ და არაბულ ენებზე.

3. ოლიმპიური ქარტიის და IOC-ის სხვა დოკუმენტების ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ფრანგულ ტექსტს, თუ სხვაგვარი წერილობითი სპეციალური გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

25. IOC–ის ფინანსური რესურსები

1. IOC–ს შეუძლია მიიღოს საჩუქრები და ნაჩუქრობის აქტები, და მოიძიოს ნებისმიერი სხვა რესურსები თავისი ამოცანების შესასრულებლად. იგი იღებს შემოსავალს მისი უფლებების გამოყენებისთვის დაწესებული გადასახადების სახით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სატელევიზიო უფლებების, სპონსორობის, ლიცენზიებისა და ოლიმპიური რეკვიზიტების გამოყენების შედეგად, აგრეთვე ოლიმპიური თამაშების ჩატარებიდან მიღებულ შემოსავლებს.

2. ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით, IOC-ს შეუძლია გადასცეს თავისი შემოსავლების ნაწილი IF-ებს, NOC-ებს – ოლიმპიური სოლიდარობის ჩათვლით – და OCOG-ებს.

თავი 3

საერთაშორისო ფედერაციები (IF-ები)

26. IF–ების აღიარება

ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისა და ხელშეწყობისთვის IOC-ს შეუძლია IF–ებად აღიაროს საერთაშორისო არა-სამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით ხელმძღვანელობენ სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობას და მოიცავენ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ასეთ სპორტის სახეობებს ეროვნულ დონეზე.

IF-ების წესდებები, პრაქტიკა და საქმიანობა ოლიმპიური მოძრაობის ფარგლებში უნდა შეესაბამებოდეს ოლიმპიურ ქარტიას, რაც მოიცავს მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის მიღებას და შესრულებასაც. ზემოთ აღნიშნული პირობით, ყოველი IF ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას და ავტონომიას სპორტის თავისი სახეობის ხელმძღვანელობაში.

27. IF-ების დანიშნულება და როლი ოლიმპიურ მოძრაობაში

1. IF-ების დანიშნულება და როლი ოლიმპიურ მოძრაობაში შემდეგია:

ოლიმპიური სულისკვეთების შესაბამისად სპორტის შესაბამისი სახეობების დანერგვის წესების შემუშავება/ამოქმედება და მათი შესრულების უზრუნველყოფა;

სპორტის შესაბამისი სახეობების განვითარების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში;

ოლიმპიური ქარტიით დასახული მიზნების შესრულებაში შესაბამისი წვლილის შეტანა, განსაკუთრებით ოლიმპიზმისა და ოლიმპიური განათლების გავრცელების კუთხით;

საკუთარი შეხედულების გამოთქმა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატებზე, კერძოდ, შესაბამის სახეობათა სპორტული ობიექტების ტექნიკურ ასპექტებზე;

ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენა ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად და მათი წარდგენა დასამტკიცებლად IOC-ის წინაშე;

პასუხისმგებლობის აღება სპორტის შესაბამის სახეობათა ტექნიკურ კონტროლსა და მენეჯმენტზე ოლიმპიური თამაშებისა და IOC-ის ეგიდით ჩატარებული შეჯიბრებების პერიოდში;

ტექნიკური დახმარების გაწევა ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამების პრაქტიკულ განხორციელებაში.

2. გარდა ამისა, IF-ებს უფლება აქვთ:

ჩამოაყალიბონ IOC–ისთვის წარსადგენი შეთავაზებები ოლიმპიურ ქარტიასთან და ოლიმპიურ მოძრაობასთან მიმართებაში;

ითანამშრომლონ ოლიმპიური კონგრესის მოსამზადებლად;

IOC-ის თხოვნით, მონაწილეობა მიიღონ IOC-ის კომისიების საქმიანობაში.

თავი 4

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები (NOC-ები)

28. NOC–ების დანიშნულება და როლი*

1. NOC–ების დანიშნულებაა ოლიმპიური ქარტიის საფუძველზე უზრუნველყოს ოლიმპიური მოძრაობის განვითარება, ხელშეწყობა და დაცვა ეოკ-ის ქვეყნებში.

2. NOC–ების როლი:

ოლიმპიზმის ფუძემდებლური პრინციპებისა და ფასეულობების პროპაგანდა ეოკ-ის ქვეყანაში, კერძოდ, სპორტისა და განათლების სფეროში, ოლიმპიური საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობის გზით, ყველა დონეზე - სკოლებში, სპორტულ და ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, აგრეთვე ისეთი დაწესებულებების შექმნის ხელშეწყობა, რომელთა მიზანია ოლიმპიური განათლება - როგორიცაა ეროვნული ოლიმპიური აკადემიები, ოლიმპიური მუზეუმები და ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა - მათ შორის კულტურული პროგრამები;

ეოკ-ის ქვეყანაში ოლიმპიური ქარტიის დაცვის უზრუნველყოფა;

მაღალი მიღწევების სპორტის, აგრეთვე მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

სპორტის ადმინისტრატორთა სწავლების ხელშეწყობა ტრენინგების მოწყობის გზით და ასეთი კურსების საშუალებით ოლიმპიზმის ძირითადი პრინციპების წარმოჩენა;

სპორტში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ზომების მიღება;

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის დამტკიცება და განხორციელება.

3. NOC-ებს გააჩნიათ ექსკლუზიური უფლება, რომ წარმოადგინონ მათი ქვეყანა ოლიმპიურ თამაშებზე და IOC–ის ეგიდით ორგანიზებულ რეგიონალურ, კონტინენტალურ ან მსოფლიოს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე. გარდა ამისა, NOC-ი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიურ თამაშებში სპორტსმენთა წარგზავნით.

4. NOC-ებს გააჩნიათ ექსკლუზიური უფლება შეარჩიონ და დანიშნონ ქალაქი, რომელსაც შეუძლია შეიტანოს განაცხადი მათ ქვეყანაში ოლიმპიური თამაშების ორგანიზებაზე.

5. თავისი მისიის შესრულების მიზნით, NOC-ებს შეუძლიათ ითანამშრომლონ სამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებთანაც უნდა დაამყარონ ჰარმონიული ურთიერთობა, თუმცა, მათ არ უნდა დაუკავშირონ საკუთარი თავი ისეთ საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას.

NOC-ებს შეუძლიათ ასევე ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

6. NOC–ებმა უნდა დაიცვან საკუთარი ავტონომია და წინ აღუდგნენ ნებისმიერი სახის ზეწოლას, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება პოლიტიკური, იურიდიული, რელიგიური ან ეკონომიკური ზეწოლით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ ოლიმპიური ქარტიის პირობების დაცვაში.

7. NOC–ებს უფლება აქვთ:

აღნიშნონ, გააიგივონ ან მოიხსენიონ საკუთარი თავი როგორც "ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი" (NOC-ი), და ეს აღნიშვნა და გაიგივება უნდა შედიოდეს ან მითითებული იყოს მათ დასახელებაში;

გააგზავნონ შეჯიბრის მონაწილეები, გუნდის ხელმძღვანელები და გუნდის სხვა პერსონალი ოლიმპიურ თამაშებზე, ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად;

ისარგებლონ ოლიმპიური სოლიდარობის დახმარებით;

გამოიყენონ განსაზღვრული ოლიმპიური რეკვიზიტები IOC-ის მიერ მინიჭებული უფლების და მე-7-დან მე-14 წესებისა და მათი განმარტების შესაბამისად;

მონაწილეობა მიიღონ IOC-ის მიერ ან მისი ეგიდით წარმართულ საქმიანობაში, მათ შორის – რეგიონალურ თამაშებში;

გაერთიანდნენ IOC-ის მიერ აღიარებულ NOC–თა ასოციაციებში;

ჩამოაყალიბონ IOC–ისთვის წარსადგენი წინადადებები ოლიმპიურ ქარტიასთან და ოლიმპიურ მოძრაობასთან მიმართებაში, მათ შორის ოლიმპიური თამაშების ორგანიზებასთან დაკავშირებით;

გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატურებთან დაკავშირებით;

მონაწილეობა მიიღონ, IOC-ის თხოვნით, IOC-ის კომისიების მუშაობაში;

ითანამშრომლონ ოლიმპიური კონგრესების მომზადების პროცესში;

ისარგებლონ მათთვის ოლიმპიური ქარტიითა და IOC–ის მიერ მინიჭებული სხვა უფლებებით;

8. IOC- ი ეხმარება NOC-ებს მათი მოვალეობების შესრულებაში სხვადასხვა დეპარტამენტებისა და ოლიმპიური სოლიდარობის საშუალებით.

9. გარდა ოლიმპიური ქარტიის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციებისა, IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს, ოლიმპიური მოძრაობის დაცვის მიზნით, შეუძლია მიიღოს ნებისმიერი სათანადო გადაწყვეტილება NOC–ის ქვეყანაში, მათ შორის NOC-ის აღიარების შეჩერება ან გაუქმება, თუ მის ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუცია, კანონი ან სხვა დებულება, ან სამთავრობო ან სხვა ორგანოების აქტები განაპირობებს NOC-ის საქმიანობის ან მისი ნების გამოხატვის შეზღუდვას. სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე საშუალებას მისცემს ეოკ-ს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები.

29. NOC–ების შემადგენლობა*

1. NOC-ის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

IOC-ის წევრები საკუთარ ქვეყანაში – მათი არსებობის შემთხვევაში. ასეთ წევრებს გააჩნიათ ხმის უფლება NOC–ის სესიებზე. გარდა ამისა, 16.1.1.1 წესში მითითებული IOC-ის წევრები ქვეყანაში წარმოადგენენ NOC-ის იმ აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობრივ წევრებს, რომლის ფარგლებშიც მათ ხმის მიცემის უფლება გააჩნიათ;

შესაბამის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებული ყველა ეროვნული ფედერაცია, რომლის სპორტის სახეობა შეტანილია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, ან მათი წარმომადგენლები;

მოქმედი ან სპორტიდან წასული სპორტსმენები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული ოლიმპიურ თამაშებში; თუმცა, ეს უკანასკნელები უნდა გადადგნენ თანამდებობიდან არა უგვიანეს მესამე ოლიმპიადის დასასრულს იმ ოლიმპიური თამაშებიდან, რომელშიც მათ ბოლოს მიიღეს მონაწილეობა.

2. NOC-ების შემადგენლობაში შესაძლებელია წევრების სახით გაერთიანდნენ:

IOC–ის მიერ აღიარებული საერთაშორისო ფედერაციების წევრი ეროვნული ფედერაციები, რომელთა სპორტის სახეობები არ არის შეტანილი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში;

სხვადასხვა სპორტული ჯგუფები და სპორტული ორიენტაციის მქონე სხვა ორგანიზაციები ან მათი წარმომადგენლები, ასევე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც უნარი აქვთ განამტკიცონ NOC-ის საქმიანობა ან განსაკუთრებული სამსახური გაუწიონ სპორტსა და ოლიმპიზმს.

3. NOC–ისა და მისი აღმასრულებელი ორგანოს ამომრჩეველ უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ ზემოთ 1.2 პარაგრაფში აღნიშნული სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციების ან მათი წარმომადგენლების ხმები. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ NOC-ის აღმასრულებელი ორგანოს წევრებისა და ეროვნული ფედერაციების მიერ მიცემული ხმები. IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს თანხმობით, NOC-ს

ასევე შეუძლია ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ამომრჩეველ უმრავლესობაში და დასათვლელ ხმებში გაითვალისწინოს ზემოთ 1.1- პარაგრაფის თანახმად IOC-ის წევრების მიერ მათ ქვეყანაში მიცემული ხმები და ზემოთ პ. 1.3-ში მოცემული მოქმედი და სპორტიდან წასულ სპორტსმენთა ხმები მათ ქვეყანაში.

4. მთავრობამ ან სხვა სახელმწიფო ორგანომ არ უნდა დანიშნოს NOC-ის არცერთი წევრი. თუმცა NOC-ს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ წევრად აირჩიოს ასეთი ორგანოს წარმომადგენელი.

5. NOC–ის იურისდიქციის სფერო უნდა ემთხვეოდეს იმ ქვეყნის საზღვრებს, რომელშიც იგი რეგისტრირებულია და სადაც გააჩნია შტაბ-ბინა.

28-ე და 29-ე წესების ოფიციალური განმარტება

1. NOC-ის აღიარების პროცედურა:

ეროვნულმა სპორტულმა ორგანიზაციამ, რომელიც მიმართავს აღიარებისთვის, როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, უნდა შეიტანოს IOC-ში განაცხადი, რომელიც ადასტურებს, რომ იგი აკმაყოფილებს ოლიმპიური ქარტიით, კერძოდ 29-ე წესით და 28-ე და 29-ე წესების განმარტებით დადგენილ პირობებს.

წარმოდგენილ უნდა იქნას მტკიცებულება, რომ NOC–ის წევრი ეროვნული ფედერაციები ახორციელებენ კონკრეტულ და რეალურ აქტიურ სპორტულ მოღვაწეობას თავის ქვეყანაში და საერთაშორისო არენაზე, კერძოდ, შეჯიბრებების მოწყობისა და მათში მონაწილეობის, ასევე სპორტსმენებისთვის საწვრთნელი პროგრამების განხორციელების გზით. NOC–მა არ უნდა აღიაროს ერთზე მეტი ეროვნული ფედერაცია სპორტის ერთ სახეობაში, რომელსაც ხელმძღვანელობს IF. ასეთი ეროვნული ფედერაციები ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენლები უნდა შეადგენდნენ NOC–ის და მისი აღმასრულებელი ორგანოს ამომრჩეველთა უმრავლესობას. NOC–ის შემადგენლობაში გაერთიანებული მინიმუმ 5 ეროვნული ფედერაცია მაინც გაწევრიანებული უნდა იყოს IF-ებში, რომლებიც ხელმძღვანელობენ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესულ სპორტის სახეობებს.

აღიარების პირობას წარმოადგენს IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ აპლიკანტის წესდების დამტკიცება. იგივე პირობა მიესადაგება NOC-ის წესდების შემდგომ ცვლილებებს ან შესწორებებს. ასეთი წესდება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს ოლიმპიურ ქარტიას და უშუალოდ ეყრდნობოდეს მის პრინციპებს. NOC-ის წესდების აზრის ან ინტერპრეტაციის თაობაზე რაიმე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ან ასეთ წესდებასა და ოლიმპიურ ქარტიას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უკანასკნელს.

ყოველმა NOC-მა, NOC-ის წესდების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩაატაროს თავის წევრთა სესია. კერძოდ, NOC-ებმა თავისი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში უნდა ჩართონ წლიური ანგარიშებისა და აუდიტის

მიერ შემოწმებული ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, და საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებისა და წევრების არჩევნები.

NOC–ების აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებისა და წევრების არჩევნები უნდა ჩატარდეს NOC-ის წესდების შესაბამისად, და მათი უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს; ისინი შესაძლებელია დაექვემდებარონ ხელახლა არჩევას.

NOC–ის წევრები, გარდა პროფესიონალური სპორტის სახეობათა ადმინისტრატორებისა, არ უნდა იღებდნენ ანაზღაურებას ან პრემიას თავისი სამსახურისთვის ან თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისთვის. მათ შესაძლებელია აუნაზღაურდეს მგზავრობის, საცხოვრებელი და სხვა დასაბუთებული ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მათი ფუნქციების შესრულებასთან.

NOC–ის აღიარების გაუქმება ან დროებითი შეჩერება იწვევს მისთვის ოლიმპიური ქარტიით ან IOC-ის მიერ გადაცემული ყველა უფლების ჩამორთმევას.

2. NOC–ების ამოცანები:

NOC-ები ასრულებენ შემდეგ ამოცანებს:

ადგენენ, ორგანიზაციას უწევენ და ხელმძღვანელობენ მათ დელეგაციებს ოლიმპიურ თამაშებზე და IOC-ის ეგიდით ჩატარებულ რეგიონალურ, კონტინენტალურ ან მსოფლიოს მრავალმრხრივ სპორტულ შეჯიბრებებზე. ისინი იღებენ გადაწყვეტილებას მათი ეროვნული ფედერაციების მიერ წარდგენილი სპორტსმენების ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე. ასეთი შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს არა მარტო სპორტსმენის სპორტულ მიღწევებს, არამედ მის უნარს წარმოადგენდეს მაგალითს სპორტში ჩაბმული ახალგაზრდობისთვის. NOC-ებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნული ფედერაციების მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები ყველანაირად აკმაყოფილებდნენ ოლიმპიური ქარტიის დებულებებს;

ისინი უზრუნველყოფენ დელეგაციის წევრებს ეკიპირებით, ტრანსპორტითა და საცხოვრებელი ადგილით. NOC-ები აფორმებენ კონტრაქტს მათ სასარგებლოდ დაზღვევის თაობაზე სიკვდილის, ინვალიდობის, ავადმყოფობის რისკებზე, სამედიცინო და ფარმაცევტულ ხარჯებზე და პასუხისმგებლობაზე მესამე მხარის მიმართ. ისინი პასუხს აგებენ თავისი დელეგაციის წევრთა ქცევაზე;

NOC-ს გააჩნიათ ერთპიროვნული და ექსკლუზიური უფლება, რომ მიიღონ გადაწყვეტილება და განსაზღვრონ, თუ როგორი ტანსაცმელი და ფორმა უნდა ატარონ და რა ინვენტარით უნდა ისარგებლონ მათი დელეგაციის წევრებმა ოლიმპიურ თამაშებზე და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრებებზე და ცერემონიებზე. ეს ექსკლუზიური უფლება არ ვრცელდება სპეციალიზებულ აღჭურვილობაზე, რომელსაც მათი დელეგაციის სპორტსმენები იყენებენ სპორტული შეჯიბრებების დროს.

ეს ექსკლუზიური უფლებამოსილება არ ვრცელდება იმ სპეციალურ ეკიპირებაზე, რომელსაც დელეგაციაში შემავალი სპორტსმენები ატარებენ სპორტული შეჯიბრებების პერიოდში. ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე სპეციალური ეკიპირება შემოიფარგლება NOC-ის მიერ აღიარებული ისეთი ეკიპირებით, რომელიც არსებით ზემოქმედებას ახდენს სპორტსმენთა ასპარეზობაზე მისი სპეციფიური მახასიათებლების გამო. სპეციალურ ეკიპირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სარეკლამო საკითხი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს NOC-ს, იმ შემთხვევაში თუ არსებობს რაიმე კავშირი – პირდაპირი ან ნაგულისხმევი – ოლიმპიურ თამაშებთან.

3. რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ NOC–ებმა:

ოლიმპიური მოძრაობის წარმოჩენის მიზნით რეგულარულად – თუ შესაძლებელია ყოველ წელს – ჩაატარონ ოლიმპიური დღე ან ოლიმპიური კვირეული;

გაითვალისწინონ თავიანთ საქმიანობაში კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდა სპორტისა და ოლიმპიზმის სფეროში;

მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამებში;

მოიძიონ დაფინანსების წყაროები ოლიმპიზმის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისი წესით.

30. ეროვნული ფედერაციები

NOC-ის მიერ აღიარებისა და NOC-ის წევრად დასაშვებად, ეროვნული ფედერაცია უნდა ახორციელებდეს კონკრეტულ, რეალურ და უწყვეტ სპორტულ საქმიანობას, უნდა იყოს IOC-ის მიერ აღიარებული IF–ის წევრი, ხელმძღვანელობდეს ოლიმპიური ქარტიით და IF–ების წესებით და ყველა ასპექტში შეესაბამებოდეს მათ.

31. NOC–ის ქვეყანა და სახელწოდება

1. ოლიმპიურ ქარტიაში სიტყვა "ქვეყანა" ნიშნავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

2. NOC–ის სახელწოდება უნდა ასახავდეს თავისი ქვეყნის ტერიტორიულ საზღვრებს და ტრადიციებს და უნდა ექვემდებარებოდეს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

32. NOC-ის დროშა, ემბლემა და ჰიმნი

NOC-ის მიერ მიღებული, მის საქმიანობასთან, მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი დროშა, ემბლემა და ჰიმნი ექვემდებარება IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

თავი 5

ოლიმპიური თამაშები

I. ოლიმპიური თამაშების ჩატარება, ორგანიზაცია და მართვა

33. ოლიმპიური თამაშების ჩატარება*

1. ოლიმპიადის თამაშები ტარდება ყოველ 4 წელიწადში.

2. ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება და პასუხისმგებლობა IOC-ის მიერ ეკისრება ქალაქს, რომელიც არჩეულია ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქად.

3. ოლიმპიური თამაშების თარიღებს განსაზღვრავს IOC–ის აღმასრულებელი საბჭო.

4. ოლიმპიური თამაშების არ-ჩატარება იმ წელს, როდესაც, წესით, უნდა ჩატარებულიყო, იწვევს მასპინძელი ქალაქის უფლებების გაუქმებას, IOC-ის სხვა უფლებებზე ზემოქმედების გარეშე.

5. მასპინძელი ქალაქის, ან მისი ქვეყნის OCOG-ის ან NOC-ის მიერ ოლიმპიური თამაშების ჩატარების შედეგად მოზიდული დამატებითი თანხები უნდა მოხმარდეს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის განვითარებას.

33-ე წესის ოფიციალური განმარტება

ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 16 დღეს.

34. მასპინძელი ქალაქის არჩევა*

1. მასპინძელი ქალაქის არჩევა წარმოადგენს სესიის პრეროგატივას.

2. სესიის მიერ არჩევამდე პროცედურებს განსაზღვრავს IOC-ის აღმასრულებელი საბჭო. გარდა გამონაკლისი გარემოებებისა, არჩევა ხდება ოლიმპიური თამაშების ჩატარებამდე 7 წლით ადრე.

3. ნებისმიერი აპლიკანტი ქალაქის ქვეყნის ეროვნულმა მთავრობამ უნდა წარუდგინოს IOC-ს იურიდიული დოკუმენტი, რომლითაც აღნიშნული მთავრობა იკისრებს პასუხისმგებლობას და მისცემს გარანტიას, რომ ქვეყანა და მისი სახელმწიფო ორგანოები იმოქმედებენ ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნების შესაბამისად და დაიცავენ მის პირობებს.

4. მასპინძელი ქალაქის არჩევა ხდება ისეთ ქვეყანაში, რომელიც შესაბამისი ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად დასახელებული კანდიდატი ქალაქის ქვეყანას არ განეკუთვნება.

34-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *განაცხადი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე – მასპინძელი ქალაქები:*

ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე წინასაარჩევნო პროცესში დასაშვებად, ნებისმიერი ქალაქის მიერ წარმოდგენილი განაცხადი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე დამტკიცებული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის NOC-ის მიერ. ასეთ შემთხვევაში ქალაქს ენიჭება აპლიკანტი ქალაქის სტატუსი.

ნებისმიერი განაცხადი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე IOC-ს უნდა წარედგინოს აპლიკანტი ქალაქის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ ქვეყნის NOC–ის თანხმობასთან ერთად. ეს ორგანოები და NOC უნდა იძლეოდნენ გარანტიას, რომ ოლიმპიური თამაშების ორგანიზება დააკმაყოფილებს IOC-ის მიერ მოთხოვნილ პირობებს.

ერთ ქვეყანაში ერთ ოლიმპიურ თამაშებზე რამდენიმე პოტენციური აპლიკანტი ქალაქის არსებობის შემთხვევაში განაცხადის შეტანა შეუძლია მხოლოდ ერთ ქალაქს, შესაბამისი ქვეყნის NOC-ის გადაწყვეტილებისამებრ.

IOC-ში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადის შეტანის დღიდან, აპლიკანტი ქალაქის ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ზედამხედველობას უნდა უწევდეს და ერთობლივად უნდა აგებდეს პასუხს აპლიკანტი ქალაქის ქმედებებსა და ქცევაზე მის განაცხადთან მიმართებაში, და, საჭიროების შემთხვევაში, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე ქალაქის კანდიდატურასთან მიმართებაში.

ყოველი აპლიკანტი ქალაქი ვალდებულია დაემორჩილოს ოლიმპიურ ქარტიას და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ დებულებებსა და მოთხოვნებს, ასევე IF–ების მიერ სპორტის შესაბამის სახეობაში დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

ყველა აპლიკანტი ქალაქი უნდა დაემორჩილოს კანდიდატურის მიღების პროცედურებს, რაც ხორციელდება IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ხელმძღვანელობით, რომელიც განსაზღვრავს ასეთი პროცედურის შინაარსს. IOC-ის აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტს, თუ რომელი ქალაქები დაიშვებიან კანდიდატებად.

2. *კანდიდატი ქალაქები – შეფასება:*

2.1. *კანდიდატი ქალაქები წარმოადგენენ იმ აპლიკანტ ქალაქებს, რომლებიც IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწვეტილების შედეგად წარედგინება სესიას ასარჩევად.*

2.2. *პრეზიდენტი, ყოველი ოლიმპიური თამაშებისთვის ნიშნავს კანდიდატი ქალაქების შემფასებელ კომისიას. ყოველი ასეთი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ IOC-ის წევრები, IF-ების, NOC-ების,*

სპორტული კომისიის და საერთაშორისო პარა-ოლიმპიური კომიტეტის (IPC) წარმომადგენლები. კანდიდატი ქალაქების ქვეყნების მოქალაქეები არ დაიშვებიან შემფასებელ კომისიაში. შემფასებელ კომისიას შეუძლია დახმარების მიღება ექსპერტებისგან.

2.3. შემფასებელი კომისია შეისწავლის ყველა ქალაქის კანდიდატურას, ადგილზე იკვლევს სპორტულ ობიექტებს და IOC-ის ყველა წევრს წარუდგენს წერილობით ანგარიშს არაუგვიანეს ერთი თვით ადრე იმ სესიის დაწყების თარიღამდე, რომელმაც უნდა აირჩიოს ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი.

2.4. ყოველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ფინანსური გარანტიები IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც გადაწყვეტს – ასეთი გარანტიები თავად ქალაქმა უნდა უზრუნველყოს თუ სხვა ადგილობრივმა, რეგიონალურმა თუ ეროვნულმა კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ, თუ სხვა მესამე მხარემ.

3. მასპინძელი ქალაქის არჩევა – მასპინძელ ქალაქთან კონტრაქტის გაფორმება:

3.1. შემფასებელი კომისიის მიერ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, IOC-ის აღმასრულებელი საბჭო შეადგენს კანდიდატი ქალაქების საბოლოო სიას, რომელიც წარდგენილ იქნება კენჭისყრაზე სესიის მიერ საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად.

3.2. მასპინძელი ქალაქის არჩევა ხდება მას შემდეგ, რაც სესია განიხილავს შემფასებელი კომისიის ანგარიშს.

3.3. IOC-ი წერილობით შეთანხმებას აფორმებს მასპინძელ ქალაქთან და მისი ქვეყნის NOC-თან. ასეთი ხელშეკრულების შესრულება, რომელსაც ჩვეულებრივ მასპინძელი ქალაქის ხელშეკრულება ეწოდება, დაუყოვნებლივ იწყება მასპინძელი ქალაქის არჩევისთანავე.

35. ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილები და ობიექტები*

1. ყველა სპორტული შეჯიბრი უნდა ჩატარდეს ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქში, თუ IOC-ის აღმასრულებელი საბჭო არ გასცემს ნებართვას კონკრეტული ღონისძიებების იმავე ქვეყნის სხვა ქალაქებში, ადგილებსა და ობიექტებზე ჩატარების თაობაზე. გახსნისა და დახურვის ცერემონია უნდა ჩატარდეს თავად მასპინძელ ქალაქში. სპორტული და სხვა ღონისძიებების ჩასატარებელი ადგილები და ობიექტები უნდა მოიწონოს IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ.

2. ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის, თუ გეოგრაფიული ან ტოპოგრაფიული მიზეზების გამო შეუძლებელია კონკრეტული ღონისძიებების ან სპორტის დისციპინებში შეჯიბრებების ჩატარება მასპინძელი ქალაქის ქვეყანაში, IOC-მა, გამონაკლისის სახით, შეიძლება დაუშვას მათი ჩატარება მოსაზღვრე ქვეყანაში.

35-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *ნებისმიერი თხოვნა ღონისძიების, დისციპლინის ან სხვა სპორტული შეჯიბრის სხვა ქალაქში ან სხვა ადგილზე, და არა თავად მასპინძელ ქალაქში ჩატარების თაობაზე უნდა წარედგინოს IOC-ს წერილობითი სახით, ყველაზე გვიან – კანდიდატი ქალაქების შემფასებელი კომისიის ჩამოსვლამდე.*

2. *ოლიმპიური თამაშების ორგანიზებას, ჩატარებას და საინფორმაციო საშუალებების მიერ გაშუქებას არანაირად არ უნდა შეუშალოს ხელი სხვა ღონისძიებამ, რომელიც ტარდება მასპინძელ ქალაქში ან მის მეზობლად ან შეჯიბრების ადგილებზე და ობიექტებზე.*

36. საორგანიზაციო კომიტეტი*

ოლიმპიური თამაშების ორგანიზება IOC-ის მიერ ეკისრება მასპინძელი ქალაქის ქვეყნის NOC-ს და თავად მასპინძელ ქალაქს. NOC-ი ვალდებულია ამ მიზნით შექმნას საორგანიზაციო კომიტეტი (OCOG), რომელიც, შექმნის მომენტიდან, ანგარიშვალდებულია უშუალოდ IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე.

36-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *OCOG–ს უნდა გააჩნდეს თავის ქვეყანაში იურიდიული პირის სტატუსი;*

2. *OCOG-ის აღმასრულებელ ორგანოში უნდა შედიოდეს:*

- *ქვეყანაში IOC-ის წევრი ან წევრები, რომლებიც მითითებულია 16.1.1.1 წესში;*

- *NOC-ის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი;*

- *სულ ცოტა ერთი წევრი, რომელიც წარმოადგენს მასპინძელ ქალაქს და დანიშნულია მის მიერ.*

OCOG-ის აღმასრულებელ ორგანოში შეიძლება შედიოდნენ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები და სხვა ხელმძღვანელი პირები.

3. *შექმნის მომენტიდან ლიკვიდაციამდე OCOG-მა საქმიანობა უნდა აწარმოოს ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, IOC-ს, NOC-სა და მასპინძელ ქალაქს შორის გაფორმებული ხელშეკრულების და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს სხვა დებულებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.*

37. ფინანსური ვალდებულებები – ოლიმპიური თამაშების ორგანიზების უფლების ჩამორთმევა

1. NOC–ი, OCOG-ი და მასპინძელი ქალაქი, ერთობლივად და ცალ-ცალკე, ფინანსურად პასუხისმგებელნი არიან ინდივიდუალურ და ერთობლივ

ვალდებულებებზე ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციასა და ჩატარებასთან მიმართებაში, გარდა ისეთი ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის და ჩატარების ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც მთლიანად თავის თავზე ექნებათ აღებული მასპინძელ ქალაქს და OCOG-ს, ერთობლივად და ინდივიდუალურად, სხვა მხარის ვალდებულებებზე ზემოქმედების გარეშე, კერძოდ, 34-ე წესის განმარტების შესაბამისად გაცემული გარანტიებიდან გამომდინარე. IOC-ს არავითარი ფინანსური პასუხისმგებლობა არ ექნება ოლიმპიური თამაშების ორგანიზებასა და ჩატარებასთან მიმართებაში.

2. ოლიმპიური ქარტიის ან IOC-ის სხვა დებულებებსა და ინსტრუქციებთან შეუსაბამობის, აგრეთვე NOC–ს, OCOG-სა და მასპინძელ ქალაქს შორის გაფორმებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში IOC-ს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ ძალაში შესვლით, ჩამოართვას ოლიმპიური თამაშების ორგანიზების უფლება მასპინძელ ქალაქს, OCOG-სა და NOC–ს, IOC-ისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაციაზე უფლების დარღვევის გარეშე. ასეთ შემთხვევაში NOC–ს, OCOG-ს, მასპინძელ ქალაქს და მასპინძელი ქალაქის ქვეყანას და მათ სახელმწიფო და სხვა ორგანოებს და სხვა მხარეებს – ქალაქის, ადგილობრივი, შტატის, პროვინციის, სხვა რეგიონალურ ან ეროვნულ დონეზე – არ ექნებათ პრეტენზია რაიმე სახის კომპენსაციაზე IOC-ის მიმართ.

38. ოლიმპიური თამაშების საკოორდინაციო კომიტეტი – თანამშრომლობა NOC–ებსა და OCOG–ს შორის*

1. ოლიმპიური თამაშების საკოორდინაციო კომიტეტი:

ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციისა და IOC–ს, OCOG-ს, IF-ებსა და NOC-ებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, პრეზიდენტმა უნდა შექმნას ოლიმპიური თამაშების საკოორდინაციო კომიტეტი, რათა მართოს და უზრუნველყოს ქმედითი თანამშრომლობა ასეთ მხარეებს შორის. საკოორდინაციო კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ IOC–ების, IF-ების, NOC-ების წარმომადგენლები და სპორტსმენები.

2. თანამშრომლობა NOC–ებსა და OCOG–ს შორის – მისიების ხელმძღვანელები:

ოლიმპიური თამაშების განმავლობაში ყოველი NOC–ის სპორტსმენები, გუნდის ხელმძღვანელები და სხვა პერსონალი იმყოფება მისიის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელიც ინიშნება მისი NOC-ის მიერ და რომლის ამოცანას, NOC-ის მიერ მისთვის დაკისრებულ ფუნქციებთან ერთად, წარმოადგენს IOC–თან, IF-ებთან და OCOG–თან თანამშრომლობა.

38-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. საკოორდინაციო კომიტეტის მანდატი:

საკოორდინაციო კომიტეტის მანდატი მოიცავს შემდეგს:

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

OCOG-ის მუშაობის მონიტორინგი;

ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის ყველა ძირითადი ასპექტის განხილვა და შემოწმება;

OCOG–ისთვის დახმარების გაწევა;

ერთის მხრივ OCOG-სა და მეორეს მხრივ, IOC–ს, IF-ებსა და NOC-ებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ნებისმიერ მხარეს შორის წარმოქმნილ უთანხმოებათა მოგვარებაში დახმარების გაწევა;

ყველა IF–ისა და NOC–ების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციასთან დაკავშირებით OCOG-ის ან IOC-ის საშუალებით - საკოორდინაციო კომიტეტის ინიციატივით;

IOC-ის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა OCOG-ის, IF–ისა და NOC–ების მიერ გამოთქმული მოსაზრებების შესახებ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე;

IOC-ის აღმასრულებელ საბჭოსთან და OCOG-თან კონსულტაციების შემდეგ იმ სფეროების შესწავლა, სადაც შესაძლებელია NOC-ებს შორის მომგებიანი თანამშრომლობის დამყარება, კერძოდ – დამატებითი ოფიციალური პირებისთვის საჰაერო ტრანსპორტთან, გადაზიდვასთან, საცხოვრებელი ადგილის იჯარით აღებასთან მიმართებაში და IF–ებისთვის, NOC-ებისა და დანიშნული ტურისტული სააგენტოსთვის ბილეთების გამოყოფის პროცედურებთან მიმართებაში;

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცების პირობით, OCOG-ისთვის შემდეგის შეთავაზება და დადგენა:

განსახორციელებელი გეგმები შეჯიბრებებისა და ვარჯიშების ჩატარების ადგილებისთვის და ოლიმპიურ სოფელში განთავსებისა და სპორტული კომპლექსებისთვის;

მონაწილეობის, საცხოვრებელი ადგილისა და OCOG-ის მიერ გასაწევი სხვა მსგავსი მომსახურების ხარჯები;

მონაწილეების და ხელმძღვანელების ტრანსპორტითა და საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის ღონისძიებები და სხვა საკითხები, რომლებიც, მისი აზრით, დაკავშირებულია მონაწილეთა და ხელმძღვანელ პირთა კეთილდღეობასთან და მათ უნართან, რომ შეასრულონ დაკისრებული ფუნქციები ოლიმპიურ თამაშებზე;

შეჯიბრების, ვარჯიშის ჩასატარებელი და სხვა ობიექტების შემოწმება და მათ შესახებ ანგარიშის წარდგენა IOC-ის აღმასრულებელი საბჭოსთვის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მოგვარება თავად არ შეუძლია;

OCOG–ის მიერ IF-ებისა და მისიების ხელმძღვანელების მოსაზრებებზე სათანადოდ რეაგირების უზრუნველყოფა;

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცების პირობით სპეციალიზებული მუშა ჯგუფების შექმნა, რომლებიც იმუშავებენ ოლიმპიური თამაშების ორგანიზების კონკრეტულ სფეროებში და IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენა და რეკომენდაციების მიწოდება საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;

ოლიმპიური თამაშების შემდეგ, თამაშების ორგანიზაციის ანალიზის განახორციელება და ამ საკითხებზე ანგარიშის წარდგენა IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე;

ისარგებლოს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მინიჭებული ნებისმიერი დამატებითი უფლებამოსილებით და შეასრულოს მისი სხვა მითითებები;

ნებისმიერი ისეთი საკითხის წამოჭრის შემთხვევაში, რომელთან მიმართებაშიც საკოორდინაციო საბჭო დაადგენს, რომ არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ან თუ ნებისმიერი მხარე უარს იტყვის შეასრულოს მისი გადაწყვეტილებები, მან უნდა წარუდგინოს ანგარიში და გარემოებათა სრული აღწერა IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას;

ოლიმპიურ თამაშებზე, საკოორდინაციო კომისიის მოვალეობები გადაეცემა IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს. საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე უნდა დაესწროს OCOG–თან ყოველდღიურ საკოორდინაციო შეხვედრებს.

2. მისიის ხელმძღვანელი:

ოლიმპიური თამაშების განმავლობაში მისიის ხელმძღვანელი იმყოფება ოლიმპიურ სოფელში და უფლებამოსილია შევიდეს ნებისმიერ სამედიცინო, სავარჯიშო და შეჯიბრებებისთვის განკუთვნილ ობიექტზე, ასევე მედია ცენტრებსა და ოლიმპიური ოჯახის სასტუმროებში.

3. ატაშეები:

ყოველ NOC-ს შეუძლია დანიშნოს ატაშე, რათა გააუმჯობესოს OCOG-თან თანამშრომლობა. ატაშე მოქმედებს, როგორც შუამავალი OCOG–სა და თავის NOC–ს შორის, რათა დახმარება გაუწიოს პრაქტიკული პრობლემების მოგვარებაში, როგორიცაა, მაგალითად, მგზავრობა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ოლიმპიური თამაშების პერიოდში ატაშე უნდა იყოს აკრედიტებული, როგორც თავისი NOC–ის დელეგაციის წევრი.

39. ოლიმპიური სოფელი*

ყველა მოასპარეზის, მწვრთნელის და გუნდების სხვა პერსონალის ერთად თავმოყრის მიზნით, OCOG-მა უნდა მოაწყოს ოლიმპიური სოფელი IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.

39-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *ოლიმპიური სოფელი უნდა აკმაყოფილებდეს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.*

2. *გუნდის ხელმძღვანელებისა და სხვა პერსონალის ქვოტას ოლიმპიურ სოფელში განსათავსებლად ადგენს IOC-ის აღმასრულებელი საბჭო.*

3. *თუ IOC-ი ნებას დართავს OCOG-ს, რომ ღონისძიებები სხვა ადგილზეც ჩატარდეს, გარდა მასპინძელი ქალაქისა, OCOG-ი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო საცხოვრებელი, მომსახურება და ობიექტები IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მოთხოვნების შესაბამისად.*

4. *ყველა მოასპარეზის, გუნდის ხელმძღვანელისა და სხვა პერსონალის ოლიმპიურ სოფელში ან ზემოთ აღნიშნულ საცხოვრებელში კვებასა და განთავსებასთან, ასევე ადგილობრივ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯები თავის თავზე უნდა აიღოს OCOG-მა.*

40. კულტურული პროგრამა

OCOG-მა უნდა განახორციელოს იმ კულტურული ღონისძიებების პროგრამის ორგანიზაცია, რომელიც უნდა გრძელდებოდეს სულ ცოტა იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ფუნქციონირებს ოლიმპიური სოფელი. ასეთი პროგრამა წინასწარ დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს.

II. მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში

41. დაშვების კოდექსი*

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე დაშვებისთვის სპორტსმენი, ინსტრუქტორი, მწვრთნელი ან გუნდის სხვა ხელმძღვანელი უნდა ემორჩილებოდეს ოლიმპიურ ქარტიას და შესაბამისი IF-ის წესებს, რომლებიც დამტკიცებულია IOC–ის მიერ. ასეთი სპორტსმენი, ინსტრუქტორი, მწვრთნელი ან გუნდის სხვა ხელმძღვანელი უნდა წარადგინოს მისმა NOC-მა. ზემოთ აღნიშნული პირები, განსაკუთრებით:

- პატივს უნდა სცემდნენ სამართლიანი თამაშის სულისკვეთებას და ძალადობისგან თავისუფალ ქცევებს და მოქმედებდნენ ამ პრინციპების შესაბამისად;
- პატივს სცემდნენ და ასრულებდენ მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის ყველა მოთხოვნას.

41-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *ყოველი IF–ი ადგენს თამაშებზე დაშვების კრიტერიუმებს სპორტის თავისი სახეობისთვის, ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად. ასეთი კრიტერიუმები წარდგენილ უნდა იქნას დასამტკიცებლად IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე.*

2. *დაშვების კრიტერიუმების გამოყენება, შესაბამისი ვალდებულებების ფარგლებში, დამოკიდებულია IF-ებზე, მათში გაერთიანებულ ეროვნულ ფედერაციებზე და NOC-ებზე.*

3. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ნებართვის გარეშე, არცერთ მოასპარეზეს, ინსტრუქტორს, მწვრთნელს ან გუნდის ხელმძღვანელს, რომელიც მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებში, არა აქვს უფლება დართოს ნება, რომ ოლიმპიური თამაშების განმავლობაში მისი პიროვნება, სახელი და გვარი, სურათი ან სპორტული მიღწევა გამოყენებულ იქნას სარეკლამო მიზნებისთვის.*

4. *სპორტსმენის ჩართვა ან მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში არ უნდა გამომდინარეობდეს ფინანსური მოსაზრებებიდან.*

42. შეჯიბრის მონაწილეთა მოქალაქეობა*

1. ოლიმპიური თამაშებში ნებისმიერი მოასპარეზე უნდა იყოს იმ NOC–ის ქვეყნის მოქალაქე, რომელიც წარადგენს ამ სპორტსმენს.

2. ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება იმის დადგენასთან დაკავშირებით, თუ რომელ ქვეყანას უნდა წარმოადგენდეს მოასპარეზე ოლიმპიურ თამაშებზე, წყდება IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

42-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *მოასპარეზე, რომელიც ერთდროულად ორი ან მეტი ქვეყნის მოქალაქეა, შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთს, თავისი შეხედულებისამებრ. თუმცა, თუ სპორტსმენი წარმოადგენდა ერთ რომელიმე ქვეყანას ოლიმპიურ თამაშებზე, კონტინენტალურ ან რეგიონალურ თამაშებზე, ან მსოფლიო ან რეგიონალურ ჩემპიონატებზე, რომლებიც აღიარებული იყო შესაბამისი IF–ის მიერ, მას არ შეუძლია წარმოადგინოს სხვა ქვეყანა, თუ არ აკმაყოფილებს ქვემოთ მე-2 პუნქტში მოცემულ პირობებს, რომლებიც მიესადაგება იმ პირებს, რომლებმაც შეიცვალეს მოქალაქეობა ან მიიღეს ახალი მოქალაქეობა.*

2. *მოასპარეზე, რომელიც წარმოადგენდა ერთ რომელიმე ქვეყანას ოლიმპიურ თამაშებზე, კონტინენტალურ ან რეგიონალურ თამაშებზე, ან მსოფლიო ან რეგიონალურ ჩემპიონატებზე, რომლებიც აღიარებული იყო შესაბამისი IF–ის მიერ, და რომელმაც შეიცვალა მოქალაქეობა ან მიიღო ახალი მოქალაქეობა, შეიძლება წარმოადგენდეს ოლიმპიურ თამაშებზე თავის ახალ ქვეყანას იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც იგი*

ასპარეზობდა თავისი ძველი ქვეყნის სახელით, გასულია სამი წელი. ეს პერიოდი, NOC-ებთან და შესაბამის IF–თან შეთანხმებით, შეიძლება შემცირდეს ან გაუქმდეს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, რომელიც ითვალისწინებს ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებებს.

3. *თუ ასოცირებული შტატი, პროვინცია ან საზღვარგარეთ მდებარე დეპარტამენტი, ქვეყანა ან კოლონია მოიპოვებს დამოუკიდებლობას, თუ ქვეყანა უერთდება სხვა ქვეყანას საზღვრის შეცვლის გამო, თუ ქვეყანა ერთიანდება სხვა ქვეყანასთან, ან თუ IOC-ი აღიარებს ახალ NOC-ს, სპორტსმენმა შესაძლოა განაგრძოს იმ ქვეყნის წარმომადგენლობა, რომელსაც იგი ეკუთვნის ან ეკუთვნოდა. თუმცა, მისი შეხედულებისამებრ, შეუძლია წარმოადგინოს თავისი ქვეყანა ან წარდგენილ იქნას ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობისთვის ახალი NOC–ის მიერ, თუ ასეთი არსებობს. ასეთი კონკრეტული არჩევანის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ერთხელ.*

4. *გარდა ამისა, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენი დაიშვება ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად, მიუხედავად იმისა, იგი სხვა ქვეყანას წარმოადგენს თუ აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ქვეყანა წარმოადგინოს, IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია მიიღოს ყველა ზოგადი და კერძო ხასიათის გადაწყვეტილება ნებისმიერი მონაწილის ეროვნების, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის ან რეზიდენტობის საკითხებთან მიმართებაში, მათ შორის –სპორტსმენის მონაწილეობისთვის აუცილებელ საცდელ ვადასთან მიმართებაშიც.*

43. ასაკობრივი შეზღუდვა

ოლიმპიური თამაშების მონაწილეებისთვის არ არსებობს სხვა ასაკობრივი შეზღუდვა, გარდა IF-ის მიერ დადგენილ შეჯიბრების წესებში განსაზღვრული შეზღუდვისა, რომელიც დამტკიცებულია IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

44. მსოფლიოს ანტი-დოპინგური კოდექსი

მსოფლიოს ანტი-დოპინგური კოდექსი სავალდებულოა სრულიად ოლიმპიური მოძრაობისთვის.

45. მოწვევები და განაცხადები*

1. მოწვევები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად უნდა დაიგზავნოს IOC-ის მიერ ყველა NOC-ში, გახსნის ცერემონიამდე ერთი წლით ადრე.

2. მხოლოდ IOC-ის მიერ აღიარებულ NOC-ებს შეუძლიათ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენთა წარდგენა. ნებისმიერი განაცხადი წარდგენაზე უნდა მიიღოს IOC-მა, რომელსაც, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია უარყოს ნებისმიერი განაცხადი მიზეზის მითითების გარეშე. არავის არ ენიჭება ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის რაიმე უფლება.

3. NOC-ებმა უნდა წარადგინონ მონაწილეები მხოლოდ ეროვნული ფედერაციებისგან მიღებული რეკომენდაციით. თუ NOC-ი, თავისი შეხედულებისამებრ, მოიწონებს რეკომენდაციას, იგი გადასცემს განაცხადს OCOG-ს. OCOG-მა უნდა დაადასტუროს მიღება. NOC-მა უნდა გამოიკვლიოს ეროვნული ფედერაციის მიერ შემოთავაზებული წარდგინების კანონიერება და დარწმუნდეს, რომ არავინ დარჩენილა წარდგინების გარეშე რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური მიზეზით ან სხვა სახის დისკრიმინაციის მიზეზით.

4. NOC-მა ოლიმპიურ თამაშებზე უნდა გააგზავნოს მხოლოდ ის მოასპარეზეები, რომლებიც სათანადოდ არიან მომზადებული მაღალი დონის საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის. შესაბამისი IF-ის საშუალებით, ეროვნულ ფედერაციას შეუძლია სთხოვოს IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს NOC–ის მიერ წარდგენილ განაცხადებთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილების გადამოწმება. IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

45-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭო განსაზღვრავს ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა რაოდენობას.*

2. *ოლიმპიური თამაშების სპორტულ შეჯიბრებში მონაწილეობის მისაღებად მონაწილეთა წარდგენის და მათი დაშვების პროცედურებსა და ვადებს ადგენს IOC-ის აღმასრულებელი საბჭო.*

3. *განაცხადი დაბეჭდილი უნდა იყოს IOC–ის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ ბლანკზე და გაიგზავნოს იმდენი ეგზემპლარის რაოდენობით, რამდენსაც დაადგენს OCOG-ი.*

4. *ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ყოველი მოასპარეზის მიერ ოლიმპიურ ქარტიის დებულებების და სპორტის მის სახეობაში IF-ის სახელმძღვანელო წესების შესრულება. ასეთი მონაწილე სათანადოდ უნდა იქნას კვალიფიცირებული NOC–ის მიერ. NOC–ი, რომელიც წარადგენს მოასპარეზეს, საკუთარი პასუხისმგებლობით იძლევა გარანტიას, რომ მონაწილე მთლიანად იცნობს და ასრულებს ოლიმპიურ ქარტიას და მსოფლიო ანტი-დოპინგურ კოდექსს.*

5. *თუ ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია აღიარებული NOC–ი, არ არსებობს კონკრეტული სპორტის სახეობის ეროვნული ფედერაცია, NOC-ს შეუძლია ინდივიდუალურად წარადგინოს ასეთი ოლიმპიური თამაშების მონაწილის განაცხადი, რომელიც ექვემდებარება დამტკიცებას IOC–ის აღმასრულებელი საბჭოსა და სპორტის ამ სახეობის ხელმძღვანელი IF–ის მიერ.*

6. *ოლიმპიური თამაშების ნებისმიერმა მონაწილემ, რა სახითაც არ უნდა იღებდეს იგი მონაწილეობას, ხელი უნდა მოაწეროს შემდეგ დეკლარაციას:*

"ვაცნობიერებ რა, რომ, როგორც ოლიმპიური თამაშების მონაწილე, მონაწილეობას ვიღებ განსაკუთრებულ ღონისძიებაში, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო და ისტორიული მნიშვნელობა, და, ვითვალისწინებ რა მასში მონაწილეობისთვის ჩემს დაშვებას, თანხმობას ვაცხადებ, რომ გადამიღონ კინოფირზე, მაჩვენონ ტელევიზიით, გადამიღონ ფოტოსურათები და ჩამწერონ სხვა სახით ოლიმპიური თამაშების განმავლობაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC-ის) მიერ ამჟამად ან შემდგომში დადგენილი პირობებითა და მიზნებით, ოლიმპიური თამაშებისა და ოლიმპიური მოძრაობის წარმოჩენის მიზნით.

ასევე თანახმა ვარ დავემორჩილო ამჟამად მოქმედ ოლიმპიურ ქარტიას, კერძოდ ოლიმპიური ქარტიის დებულებებს ოლიმპიურ თამაშებში დაშვებასთან მიმართებაში (მათ შორის 41-ე წესს და მის ოფიციალურ განმარტებას), მასმედიასთან დაკავშირებით (49-ე წესი) და დასაშვებ საფირმო განმასხვავებელ ნიშანთან დაკავშირებით, რომელიც დატანილია ტანსაცმელზე და აღჭურვილობაზე ან გამოიყენება ოლიმპიურ თამაშებზე (51-ე წესის ოფიციალური განმარტება).

ასევე თანახმა ვარ, რომ ნებისმიერი დავა ოლიმპიურ თამაშებში ჩემს მონაწილეობასთან დაკავშირებით ექსკლუზიურად გადაეცეს სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, სპორტის საკითხებზე არბიტრაჟის კოდექსის შესაბამისად (59-ე წესი).

ასევე თანახმა ვარ დავემორჩილო მსოფლიო ანტი-დოპინგურ კოდექსსა და IOC-ის ეთიკის კოდექსს.

ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და/ან ჩემმა ეროვნულმა სპორტულმა ფედერაციამ ან საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ გამაცნო ყველა შესაბამისი მოქმედი დებულება და წესი".

7. *შესაბამისმა NOC-მა ასევე ხელი უნდა მოაწეროს მე-6 პუნქტში მოყვანილ დეკლარაციას, რათა დაადასტუროს და უზრუნველყოს გარანტია, რომ მონაწილე გაეცნო ყველა შესაბამის წესს, და რომ NOC-მა მიიღო უფლება შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციისგან, რომ მოაწეროს ხელი განაცხადის ფორმას მისი სახელით, შესაბამისი IF-ის თანხმობით.*

8. *არცერთი განაცხადი არ იქნება ძალაში ზემოთ აღნიშნული პირობების შესრულების გარეშე.*

9. *სათანადოდ წარდგენილი დელეგაციის, გუნდის ან პიროვნების მოხსნა ოლიმპიური თამაშებიდან IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს თანხმობის გარეშე წარმოადგენს ოლიმპიური ქარტიის დარღვევას და დაექვემდებარება მოკვლევას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სასჯელებისა და სანქციების დაკისრება.*

10. *სპორტის ყოველი სახეობისთვის განაცხადების რაოდენობას ადგენს IOC-ის აღმასრულებელი საბჭო შესაბამის IF-ებთან კონსულტაციის საფუძველზე, შესაბამისი ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი წლით ადრე.*

11. *ინდივიდუალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის განაცხადების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მსოფლიო ჩემპიონატებისთვის დადგენილ რაოდენობას, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს სამს თითოეული ქვეყნიდან. კონკრეტული ზამთრის სპორტის სახეობებისთვის IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია დაუშვას გამონაკლისები.*

12. *სპორტის გუნდური სახეობებისთვის, გუნდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტს თითოეული სქესისთვის და არ უნდა იყოს რვა გუნდზე ნაკლები, თუ IOC-ის აღმასრულებელი საბჭო არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას.*

13. *სპორტის კონკრეტულ სახეობებში, როგორც გუნდურ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე ჩანაცვლების სამართლიანი განაწილების მისაღწევად და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში ნებადართულია ქვეყანაზე ერთი განაცხადი ერთ შეჯიბრზე, ჩანაცვლების გარეშე, IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს, შესაბამის IF-ებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს ჩანაცვლების ქვოტები.*

14. *თუ IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ არ არის მიღებული საპირისპირო გადაწყვეტილება და არ არის წერილობით შეტანილი მასპინძელი ქალაქის კონტრაქტში, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენების რაოდენობა შემოიფარგლება ათი ათას ხუთასით (10,500), ოფიციალურ პირთა რაოდენობა კი ხუთი ათასით (5,000).*

III. ოლიმპიური თამაშების პროგრამა

46. ოლიმპიური თამაშების პროგრამა

1. *ოლიმპიური თამაშების პროგრამა (ქვემოთ მოხსენიებული, როგორც "პროგრამა") წარმოადგენს ოლიმპიური თამაშების ყველა შეჯიბრის პროგრამას, რომელიც ამ წესისა და მისი განმარტების შესაბამისად სოკ-ის მიერ განისაზღვრება ყოველი ოლიმპიური თამაშებისთვის.*

2. *პროგრამის შემადგენელი კომპონენტებია სპორტის სახეობები, დისციპლინები და შეჯიბრებები. პირველი მოიცავს იმ სახეობებს, რომლებიც რეგულირდება საერთაშორისო ფედერაციების მიერ 46.1 და 46.2 წესების განმარტებების საფუძველზე. დისციპლინა წარმოადგენს სპორტის ერთი ან რამდენიმე შეჯიბრებისგან შემდგარ დარგს. შეჯიბრება-კი არის სპორტის ერთ ოლიმპიურ სახეობაში ან მის ერთ-*

ერთ დისციპლინაში ორგანიზებული ასპარეზობა, რომელიც სარეიტინგოა და ითვალისწინებს მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვებას;

3. *პროგრამაში შესატანად ყველა სახეობის შეტანა, ისევე როგორც მასში რომელიმე სახეობის შეტანასთან დაკავშირებული კრიტერიუმებისა და პირობების განსაზღვრა წარმოადგენს სესიის პრეროგატივას. პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ სახეობების შეტანა ან შენარჩუნება, რომლებსაც გატარებული აქვთ მსოფლიოს ანტი დოპინგური კოდექსი და წარმატებით ახორციელებენ მას.*

4. *პროგრამაში დისციპლინეს ან შეჯიბრების შეტანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს პრეროგატივაა.*

46-ე წესის განმარტება

1. ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ზოგადი დებულებები:

1.1. ყოველი ოლიმპიური თამაშების შემდეგ სოკ-ი განიხილავს პროგრამას. ყოველი ამგვარი განხილვისას შესაძლებელია გადაიხედოს სპორტის სახეობების, დისციპლინების ან შეჯიბრებების პროგრამაში შეტანის საკითხი, ხოლო მათი შეტანის ან ამოღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოკ-ის კომპეტენტური ორგანო.

ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამის დადგენასთან დაკავშირებით სესიის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია, რომლის სახეობაც დასახელებულია პროგრამაში შესატანად, ვალდებულია დაუდასტუროს სოკ-ს ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა.

ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის ნებისმიერი სახეობის შეტანის საკითხი უნდა გადაწყდეს არა-უგვიანეს იმ სესიისა, რომელზეც უნდა შეირჩეს კონკრეტული ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი.

ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიური თამაშების დისციპლინების ან შეჯიბრებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო ოლიმპიური თამაშების გახსნამდე არაუგვიანეს 3 წლით ადრე.

46.1.3 და 1.4 წესების განმარტებებში მოცემული ვადები შესაძლებელია არ იქნას გათვალისწინებული პროგრამაში იმ ცვლილებების შეტანის უზრუნველსაყოფად, რომლებიც დამტკიცებულია შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის, ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისა და სოკ-ის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

პროგრამაში რომელიმე სახეობის შესატანად ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე სესიას შეუძლია ამისათვის დააწესოს კონრეტული კრიტერიუმები ან პირობები.

სესია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ამოიღოს პროგრამიდან სპორტის რომელიმე სახეობა, თუ ამ სპორტის შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია არ ასრულებს ოლიმპიური ქარტიის ვალდებულებებს ან მსოფლიოს ანტი დოპინგურ კოდექსს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 23-ე წესით გათვალისწინებული სანქციები.

46.2.1.2 და 3.1.2 წესების განმარტებებში ცვლილებების შეტანა მათში მოცემული საერთაშორისო ფედერაციების რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით შესაძლებელია განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს სესიას მხოლოდ სერიოზული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ თუ კონკრეტული საერთაშორისო ფედერაცია არ ასრულებს ოლიმპიური ქარტიისა და მსოფლიოს ანტი დოპინგური კოდექსის პირობებს.

ნებისმიერი საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც უკმაყოფილოა 46.1.1.7 ან 1.1.8 წესების განმარტებების საფუძველზე სესიაზე წარდგენილი წინადადებით,, უფლებამოსილია მოსმენილ იქნას ამ გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული დებულებები

პროგრამაში სპორტის სახეობების შეტანა

პროგრამაში შეტანილი სპორტის სახეობები შედგება ძირითადი (შემდეგ მოხსენიებული, როგორც "ძირითადი") და დამატებითი სახეობებისგან.

სპორტის ძირითადი სახეობები ითვალისწინებს სესიის მიერ სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს წინადადებით შერჩეულ მინიმუმ 25 სახეობას, რომლებსაც ხელმძღვანელობენ *ქვემოთ მოცემული შემდეგი საერთაშორისო ფედერაციები:*

- მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია (IAAF);
- ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FISA);
- ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაცია (IBF);
- ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაცია (IBAF);
- კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (FIBA);
- კრივის საერთაშორისო ფედერაცია (AIBA);
- კანოეს საერთაშორისო ფედერაცია (ICF);
- ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (UCI);
- ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FEI);
- ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია (FIE);

- ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (FIFA);
- ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია (FIG);
- ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IWF);
- ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია (IHF);
- ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (FIH);
- ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია (IJF);
- ჭიდაობის ასოცირებულ სახეობათა საერთაშორისო ფედერაცია (FILA);
- ცურვის საერთაშორისო ფედერაცია (FINA);
- თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირი (UIPM);
- სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაცია (ISF);
- ტაეკვონდოს მსოფლიო ფედერაცია (WTF);
- ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF);
- მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITTF);
- სროლის საერთაშორისო ფედერაცია (ISSF);
- მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FITA);
- ტრიატლონის საერთაშორისო კავშირი (ITU);
- აფროსნობის საერთაშორისო ფედერაცია (ISAF);
- ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია (FIVB);

სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციით სესიას შეუძლია აირჩიოს სპორტის ერთი ან რამდენიმე დამატებითი სახეობა 46.2.1.2 წესის განმარტებაში მოცემული სახეობებიდან და ასევე მათგან, რომლებიც სესიის გადაწყვეტილებით არ იქნა შეტანილი ძირითად სახეობებში ან სოკ-ის მხრიდან აღიარებული საერთაშორისო ფედერაციების სახეობებს შორის.

სესიის მიერ არჩეული სპორტის დამატებით სახეობათა საერთო რაოდენობა უნდა განისაზღვროს ისე, რომ თამაშების პროგრამაში შეტანილი სახეობების საერთო რაოდენობა ძირითადის ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 28-ს.

დადგენილი პროცედურა.

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო სესიას სთავაზობს პროგრამაში სპორტის მინიმუმ 25 სახეობის შეტანას, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად სახეობებს. სესია საერთო კენჭისყრით და ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავს პროგრამაში ძირითადი სახეობების შეტანას. თუ ამგვარი ხმათა უმრავლესობა არ მიიღწევა სესიაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ჩატარდება დამატებითი კენჭისყრა. ამგვარი კენჭისყრის ტურების შედეგად პროგრამაში შეტანილი სპორტის ყველა სახეობა წარმოადგენს ძირითად სახეობას.

46.2.2.1 წესის განმარტების თანახმად სპორტის ძირითადი სახეობების განსაზღვრის შემდეგ, სოკ-ის აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია სესიას 46.2.1.3 წესის განმარტების საფუძველზე შესთავაზოს პროგრამაში ერთი ან რამდენიმე დამატებითი სახეობის შეტანა. სესიას შეუძლია დამატებითი სახეობების შეტანას კენჭი უყაროს ერთიანი გადაწყვეტილებით ან ინდივიდუალური სახით მიღებული ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.

3. ზამთრის ოლიმპიური სახეობების დებულებები

პროგრამაში სპორტის სახეობების შეტანა

პროგრამაში შეტანილი სახეობები შედგება ძირითადი (შემდგომ მოხსენიებული, როგორც "ძირითადი") სახეობებისგან

ძირითად სახეობებში გაერთიანებულია ის სახეობები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ქვემოთ მოცემული საერთაშორისო ფედერაციები:

- ბიატლონის საერთაშორისო კავშირი (IBU);
- ბობსლეისა და ტობოგანის საერთაშორისო ფედერაცია (FIBT);
- კერლინგის მსოფლიო ფედერაცია (WCF);
- ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (IIHF);
- ციგის საერთაშორისო ფედერაცია (FIL);
- საციგურაო სპორტის საერთაშორისო კავშირი (ISU);
- სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS).

დადგენილი პროცედურა

სესია ერთიანი კენჭისყრით განსაზღვრავს სპორტის ძირიტადი სახეობების დაშვებას, რომელი გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობის საფუძველზე. თუ ამგვარი უმრავლესობა არ მიიღწევა სესიაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ჩატარდება კენჭისრის დამატებითი ტურები, რომლის შედეგადაც პროგრამაში შეტანილი სპორტის ყველა სახეობა წარმოადგენს ძირითად სახეობას.

3.1.4 პროგრამაში სპორტის რომელიმე დამატებითი სახეობის გასათვალისწინებლად შემდგომი პროცედურა იგივე რჩება, რაც ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის ყველა აუცილებელი ცვლილების გათვალისწინებით.

47. IF–ების ტექნიკური ვალდებულებები ოლიმპიურ თამაშებზე*

1. ყოველი IF-ი პასუხისმგებელია ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის შესაბამისი სახეობის ტექნიკურ კონტროლსა და მართვაზე; შეჯიბრებების ყველა ელემენტი, მათ შორის გრაფიკი, სათამაშო მოედანი, სავარჯიშო ადგილები და აღჭურვილობა, უნდა შეესაბამებოდეს მის წესებს. ყველა ამ ტექნიკურ საკითხებთან მიმართებაში OCOG-მა კონსულტაციისთვის უნდა მიმართოს შესაბამის IF-ს. ყოველი სპორტის ყველა შეჯიბრის ჩატარება შესაბამისი IF-ის უშუალო პასუხისმგებლობის ქვეშ ხდება.

2. OCOG–მა უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ოლიმპიური სპორტის სახეობებისადმი თანასწორი მიდგომა და ინტეგრირება.

3. რაც შეეხება შეჯიბრებების გრაფიკს და ყოველდღიურ განრიგს, საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს IOC–ის აღმასრულებელმა საბჭომ.

47-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. ოლიმპიური თამაშების ტექნიკური ასპექტები:

ოლიმპიური თამაშების ტექნიკურ ასპექტებთან მიმართებაში IF-ებს გააჩნიათ შემდეგი უფლებები და ვალდებულებები:

1.1. ცალკეული სპორტის სახეობების, დისციპლინებისა და შეჯიბრებების ტექნიკური წესების დადგენა, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება: შედეგების სტანდარტებით, აღჭურვილობის, ინსტალაციებისა და ობიექტების ტექნიკური სპეციფიკაციით, ტექნიკური მოძრაობების, ვარჯიშების და თამაშების წესებით, ტექნიკური დისკვალიფიკაციის წესებით და მსაჯობისა და დროის დადგენის წესებით;

1.2. ოლიმპიური თამაშების საბოლოო შედეგების დადგენა და რეიტინგის მინიჭება. ასეთი შედეგები IOC-ის მიერ დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, IF–ებს უნდა გადასცეს OCOG-მა, დაუყოვნებლივ ყოველი შეჯიბრის დამთავრებისთანავე, ელექტრონული ფორმით. ამის შემდეგ შესაბამის IF-ს უფლება აქვს ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე განათავსოს შეჯიბრების შედეგები თავის სპორტის სახეობაში;

1.3. IOC–ის უფლებამოსილებით, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი მის სპორტის სახეობაში შეჯიბრებისა და ვარჯიშების ჩატარების ადგილებზე ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებებისა და ვარჯიშების პერიოდში;

1.4. შეარჩიოს მსაჯები, არბიტრები და სხვა ტექნიკური ოფიციალური პირები მასპინძელი და სხვა ქვეყნებიდან იმ რაოდენობით, რომელიც დამტკიცებულია IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ შესაბამისი IF–ის

წინადადების საფუძველზე. ასეთი მსაჯების, არბიტრების და სხვა ტექნიკური ოფიციალური პირების – რომლებიც მასპინძელი ქვეყნისგან განსხვავებული ქვეყნებიდან ჩამოდიან - საცხოვრებელი, სამგზავრო ხარჯები და ფორმების ღირებულება უნდა გადაიხადოს OCOG-მა. ტექნიკური ოფიციალური პირები ადგილზე უნდა იმყოფებოდნენ მათ სპორტის სახეობაში პირველი შეჯიბრის დაწყებამდე სულ ცოტა სამი დღით ადრე და ბოლო შეჯიბრის დამთავრებიდან სულ ცოტა ერთი დღე მაინც;

1.5. ცალკეულ სპორტის სახეობაში ობიექტების დაგეგმვისა და მოწყობის პერიოდში დანიშნოს ორი ტექნიკური დელეგატი, რათა უზრუნველყოს დადგენილი წესების შესრულება, შეამოწმოს და დაამტკიცოს შეჯიბრების ყველა ტექნიკური ელემენტი, მათ შორის – განაცხადების წარდგენა, შეჯიბრების მოედნების სტანდარტები, შეჯიბრებების გრაფიკი, წინა საოლიმპიადო ღონისძიებები, აგრეთვე ტექნიკური ოფიციალური პირებისა და მსაჯების საცხოვრებლად განთავსების, კვებისა და ტრანსპორტირების პირობები;

1.5.1. ორი ტექნიკური დელეგატი ყოველი IF-დან ადგილზე უნდა იყოს სულ ცოტა ხუთი დღით ადრე მათ სპორტის სახეობაში პირველი შეჯიბრის დაწყებამდე, რათა გააჩაროს საჭირო ღონისძიებები მონაწილეთა სიებთან დაკავშირებით.

1.5.2. ასეთ პერიოდში და ოლიმპიური თამაშების დამთავრებამდე ასეთი დელეგატების დასაბუთებულ ხარჯებს (თვითმფრინავის ბიზნეს-კლასის ბილეთი – თუ მანძილი აღემატება 2500 კმ-ს და ეკონომ-კლასის – თუ მანძილი არ აღემატება 2500 კმ-ს, კვება და სასტუმრო) იხდის OCOG–ი.

1.5.3. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც, ტექნიკური მიზეზების გამო დელეგატების მონაწილეობა ან დამატებითი ვიზიტების ორგანიზება აუცილებელია, OCOG-მა, IOC-ის ინფორმირების შემდეგ, უნდა გააჩაროს შესაბამისი ღონისძიებები. უთანხმოების შემთხვევაში გადაწყვეტილებას მიიღებს IOC-ის აღმასრულებელი საბჭო.

1.6. შეჯიბრის ყველა მონაწილის მიერ 49-ე და 51-ე წესების დებულებების შესრულების უზრუნველყოფა.

1.7. IOC–ისა და NOC–ებისგან მიღებული უფლებამოსილებით, IOC-ის წესების დაცვა მონაწილეთა დაშვებასთან მიმართებაში, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე (წინასწარი შეჯიბრებები) და ოლიმპიური თამაშების დროს.

1.8. კანდიდატ ქალაქებთან მიმართებაში IF-ის ტექნიკური მოთხოვნების მომზადება და გადახედვა IOC–თან ერთად.

2. ტექნიკური დებულებები, რომლებიც მოითხოვს შეთანხმებას IF–ებსა და OCOG–ს შორის, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე:

ძალაშია 2007 წლის 7 ივლისიდან

2.1. სპორტის სახეობის პროგრამის ყოველდღიური განრიგი ოლიმპიურ თამაშებზე.

2.2. იმ შეჯიბრებების მარშრუტები, რომლებიც ტარდება ოლიმპიური ობიექტების გარეთ (მაგ. აფროსნობა, მარათონი, სპორტული სიარული, ველორბოლა გზატკეცილზე და საცხენოსნო სამდღიანი შეჯიბრი).

2.3. მოთხოვნილება სავარჯიშო დარბაზებზე ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე და მათ პროცესში.

2.4. ისეთი ტექნიკური აღჭურვილობა ობიექტებზე, რომელიც არ არის განსაზღვრული და ჩამოთვლილი IF-ების ტექნიკურ წესებში.

2.5. ტექნიკური საშუალებები შედეგების დასადგენად.

2.6. ოლიმპიური თამაშების დროს საჭირო ფორმები IF–ის ოფიციალური პირებისთვის (მსაჯებისა და არბიტრებისთვის).

3. IF-ის წინადადებები, რომლებიც საჭიროებს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებას:

3.1. სპორტის შესაბამის სახეობებში ოლიმპიური თამაშების პროგრამის შედგენა, მათ შორის – შეჯიბრებების შეტანა ან ამოღება, IOC-ის მიერ დადგენილი წესების, კრიტერიუმებისა და პირობების შესაბამისად;

3.2. ყოველი შეჯიბრის მონაწილეთა რაოდენობის დადგენა თითო ქვეყნიდან და ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე გუნდების რაოდენობის დადგენა.

3.3. წინასწარი საკვალიფიკაციო შეჯიბრებების სისტემის დადგენა ოლიმპიურ თამაშებამდე სამი წლით ადრე.

3.4. საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში სპორტსმენების (ან გუნდების – წინასწარ ჯგუფებად) დაჯგუფებისა და შერჩევის სისტემის დადგენა ოლიმპიური თამაშებისთვის.

3.5. რეზერვების რაოდენობის დადგენა სპორტის ინვიდუალურ ან გუნდურ სახეობებში ან შეჯიბრებებზე.

3.6. მონაწილეთა რაოდენობის დადგენა და შერჩევა დოპინგზე ტესტირებისთვის.

3.7. ორზე მეტი ტექნიკური დელეგატის წარგზავნა ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ზედამხედველობისთვის ან დამატებითი - ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებული ვიზიტებისგან განსხვავებული - ვიზიტების ორგანიზება.

3.8. IF–ების მიერ ოლიმპიური შეჯიბრებების ნებისმიერი სახის ვიზუალური ან აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების დამზადება, რომელთა გამოყენება კომერციული მიზნებით აკრძალულია.

4. დამატებითი ინფორმაცია ტექნიკურ ღონისძიებებთან დაკავშირებით:

4.1. არაუგვიანეს სამი წლისა ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, IF-ებმა უნდა აცნობონ OCOG–ს, IOC-სა და NOC-ებს საჭირო ტექნიკური ინსტალაციების და სპორტული ინვენტარის პარამეტრები, რომლებიც გამოყენებულ იქნება შეჯიბრებების ჩატარების ობიექტების აღჭურვისთვის ოლიმპიური თამაშის დროს. შესაბამისმა IF–(ებ)მა შესაძლოა მოითხოვონ, რომ, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი სახელმძღვანელო პრიციპების შესაბამისად, ასეთი მოწყობილობები მოწოდებულ იქნას კონკრეტული კომპანიის ან კომპანიების მიერ.

4.2. საჭირო ტექნიკური ოფიციალური პირები (მსაჯები, არბიტრები, ქრონომეტრისტები, ინსპექტორები) და მსაჯთა მთავარი კოლეგია სპორტის ყოველი სახეობისთვის ინიშნება შესაბამისი IF-ის მიერ იმ საერთო რაოდენობრივი ლიმიტით, რომელსაც ადგენს IOC-ის აღმასრულებელი საბჭო შესაბამისი IF-ის რეკომენდაციის საფუძველზე. ისინი ასრულებენ თავიანთ დავალებებს IF-ის მითითებების შესაბამისად, OCOG-თან კოორდინაციით.

4.3. არცერთი ოფიციალური პირი, რომელიც მონაწილეობდა გადაწყვეტილების მიღებაში, არ შეიძლება იყოს იმ ჟიურის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია დავასთან დაკავშირებული დადგენილების გამოტანაზე.

4.4. ჟიურის მიერ მოკვლეული მასალა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გადაეცეს IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს.

4.5. ჟიურის მიერ გამოტანილი დადგენილებები მათი სპორტის სახეობების ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, და მათი გადაწყვეტილებები, შესაბამისი სანქციების ჩათვლით, არ ექვემდებარება გასაჩივრებას, არ ახდენს ზემოქმედებას დამატებით ღონისძიებებსა და სანქციებზე, რომელთა შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა გამოიტანოს IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ ან სესიამ.

4.6. OCOG–მა ოლიმპიური სოფლის გარეთ უნდა უზრუნველყოს სათანადო ნაგებობების მოწყობა IF-ების მიერ დანიშნული ოფიციალური პირების საცხოვრებლად. ტექნიკური ოფიციალური პირები და მსაჯთა კოლეგიის წევრები არ შეიძლება ცხოვრობდნენ ოლიმპიურ სოფელში. ისინი არ შედიან NOC-ების დელეგაციების შემადგენლობაში და ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ შესაბამისი IF–ების წინაშე.

5. IF–ების ოფისები და სათავსოები

5.1. ოლიმპიურ თამაშებზე OCOG-მა თავისი ხარჯით უნდა უზრუნველყოს ასეთი თამაშების პროგრამაში შეტანილი სპორტის სახეობების IF-ები ტექნიკური საკითხების დამუშავებისთვის საჭირო ოფისებითა და სათავსოებით.

5.2. OCOG-მა, IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს თანხმობით, უნდა უზრუნველყოს ზემოთ აღნიშნული IF-ები - მათი თხოვნითა და ხარჯით – ადმინისტრაციული და ტექნიკური ინვენტარით, ასევე საცხოვრებელი ადგილით (თუ შესაძლებელია), რათა მიეცეთ მასპინძელ ქალაქში სხდომების ჩატარების საშუალება.

6. IF–ების მიერ ორგანიზებული საკვალიფიკაციო შეჯიბრებები:

6.1. სპორტის ზოგიერთი სახეობისთვის IF-მა შესაძლოა მოაწყონ საკვალიფიკაციო შეჯიბრებები ან სხვაგვარად შეზღუდონ მონაწილეობა, რათა შეარჩიონ ის მონაწილეები, განსაკუთრებით გუნდურ პირველობაში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიურ თამაშებში.

6.2. შეზღუდვებისა და საკვალიფიკაციო შეჯიბრებების სისტემები უნდა შეესაბამებოდეს ოლიმპიური ქარტიის დებულებებს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ ჩარჩოებში. საკვალიფიკაციო პრინციპი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს. IOC-ი აცნობებს NOC-ებს ყველა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია IF–ების მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო შეჯიბრებებთან.

6.3. 49-ე, 56-ე და 57-ე წესები არ მიესადაგება საკვალიფიკაციო შეჯიბრებებს.

7. OCOG–ის მიერ ორგანიზებული წინა საოლიმპიადო შეჯიბრებები:

7.1. IOC-ისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტის შესაბამისად OCOG-მა, IF-ებთან კონსულტაციის შემდეგ, შესაძლოა მოაწყოს წინა საოლიმპიადო შეჯიბრებები ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი ობიექტების ტესტირებისთვის, განსაკუთრებით – შეჯიბრებების ჩატარების ადგილების ტექნიკურ ასპექტებთან და ტექნოლოგიასთან მიმართებაში.

7.2. წინა საოლიმპიადო შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს შესაბამისი IF-ების ტექნიკური მეთვალყურეობის ქვეშ.

7.3. წინა საოლიმპიადო შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს ოლიმპიური ქარტიის დებულებების შესაბამისად IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ ჩარჩოებში.

48. ახალგაზრდული ბანაკი

IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ნებართვით OCOG-ს შეუძლია ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით საკუთარი პასუხისმგებლობით მოაწყოს საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი.

49. ოლიმპიური თამაშების გაშუქება საინფორმაციო საშუალებების მიერ*

1. IOC–მა უნდა გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა უზრუნველყოს ოლიმპიური თამაშების მაქსიმალურად სრულყოფილი გაშუქება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ და რაც შეიძლება ფართო აუდიტორიისთვის.

2. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ოლიმპიური თამაშების მედიის მიერ გაშუქებასთან დაკავშირებით წარმოადგენს IOC–ის კომპეტენციას.

49-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *ოლიმპიური თამაშების მიზანია, რომ ოლიმპიური თამაშების გაშუქებამ საინფორმაციო საშუალებების მიერ შინაარსობრივად უზრუნველყოს ოლიმპიზმის პრინციპებისა და ფასეულობების გავრცელება და წარმოჩენა.*

2. *IOC-ის აღმასრულებელი საბჭო საინფორმაციო საშუალებების მიერ ოლიმპიური თამაშების გაშუქებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დებულებებსა და მოთხოვნებს განსაზღვრავს IOC-ის მედია-სახელმძღვანელოში, რომელიც წარმოადგენს მასპინძელი ქალაქის კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს. IOC-ის მედია-სახელმძღვანელოს ტექსტი და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა სხვა ინსტრუქცია სავალდებულოა ნებისმიერი და ყველა პირისთვის, ვინც მონაწილეობს ოლიმპიური თამაშების გაშუქებაში.*

3. *მხოლოდ აკრედიტაციის მქონე პირებს შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც ჟურნალისტებმა, რეპორტიორებმა ან საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელმა სხვა პირებმა. არავითარ შემთხვევაში არცერთ სპორტსმენს, ინსტრუქტორს, ოფიციალურ პირს, პრეს-ატაშეს ან ნებისმიერ სხვა აკრედიტებულ მონაწილეს არ აქვს უფლება შეასრულოს ჟურნალისტის ან საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლის ფუნქცია.*

50. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული პუბლიკაციები*

ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული და IOC–ისთვის საჭირო ყველა პუბლიკაცია უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს IOC–ის მიერ დადგენილი ფორმატით, OCOG-ის ხარჯით.

50-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. *OCOG–ი პასუხისმგებელია შემდეგი პუბლიკაციებისა და დოკუმენტების მომზადებაზე, გამოქვეყნებაზე, რედაქტირებასა და გავრცელებაზე, რაც ითვალისწინებს IOC-ისთვის, IF-ებისთვის და ყველა NOC-ისთვის მათ მიწოდებას:*

1.1. ახსნა-განმარტებითი ბუკლეტი სპორტის ყოველ სახეობაში, რომელიც შეიცავს საერთო პროგრამასა და ტექნიკურ ღონისძიებებს;

1.2. სამედიცინო ბუკლეტი IOC-ის ინსტრუქციების შესაბამისად;

1.3. სრული ანგარიში IOC-ის ხელმძღვანელობით ოლიმპიური თამაშების გახსნისა და ჩატარების თაობაზე.

2. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ ნებისმიერ პუბლიკაციასთან და დოკუმენტთან მიმართებაში OCOG-მა უნდა იმოქმედოს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მითითებების შესაბამისად. როგორც წესი, ნებისმიერი დოკუმენტისა და პუბლიკაციის შინაარსი წინასწარი დამტკიცებისთვის წარედგინება IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს.

51. რეკლამა, პრეზენტაციები, პროპაგანდა*

1. IOC-ის აღმასრულებელი საბჭო განსაზღვრავს პრინციპებსა და პირობებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ნებისმიერი სახის რეკლამირების სანქცირება.

2. არანაირი სახის რეკლამა არ შეიძლება გაკეთდეს იმ სტადიონების, შეჯიბრებების ადგილებისა და სხვა ტერიტორიების შიგნით ან მათ ფარგლებში, რომლებიც წარმოადგენენ ოლიმპიურ ტერიტორიებს. კომერციული გამოსახულებები და სარეკლამო ნიშნები არ იქნება ნებადართული სტადიონებზე, შეჯიბრებების ადგილებზე და სხვა მოედნებზე.

2. არავითარი სახის დემონსტრაციები ან პოლიტიკური, რელიგიური თუ რასობრივი პროპაგანდა არ არის ნებადართული ოლიმპიურ ობიექტებზე, შეჯიბრებების ჩატარების ადგილებში ან სხვა ადგილებში.

51-ე წესის ოფიციალური განმარტება

1. არანაირი სახის სარეკლამო განცხადება ან პროპაგანდა, კომერციული ან სხვაგვარი, არ უნდა იყოს გამოსახული სპორტულ ტანსაცმელზე, აქსესუარზე, ან, უფრო ზოგადად – ნებისმიერ ტანსაცმელზე ან აღჭურვილობაზე, რომელსაც ატარებენ ან იყენებენ სპორტსმენები ან ოლიმპიური თამაშების სხვა მონაწილეები, გარდა ტანსაცმლის ან აღჭურვილობის მწარმოებლის საიდენტიფიკაციო ნიშნებისა – როგორც განმარტებულია ქვემოთ მე-8 პუნქტში, იმ პირობით, რომ ასეთი იდენტიფიკაცია არ იქნება თვალში საცემი სარეკლამო მიზნებისთვის.

1.1. ტანსაცმელზე ან ინვენტარზე არ უნდა იყოს მოთავსებული მწარმოებლის ერთზე მეტი საიდენტიფიკაციო აღნიშვნა.

1.2. ინვენტარი: მწარმოებლის ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ნიშანი, რომელიც იკავებს შეჯიბრის პროცესში შესამჩნევად წარმოდგენილი აღჭურვილობის ზედაპირის 10%-ზე მეტს, ჩაითვლება თვალში

საცემად. თუმცა, მწარმოებლის არცერთი საიდენტიფიკაციო ნიშანი არ უნდა იყოს 60 სმ²–ზე მეტი ზომის.

1.3. თავსაბურავზე (ქუდები, დამცავი შლემები, მზის სათვალეები, დამცავი სათვალეები) და ხელთათმანებზე: მწარმოებლის 6 სმ²–ზე მეტი ზომის ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ნიშანი ჩაითვლება თვალში საცემად.

1.4. ტანსაცმელი (სპორტული მაისურები, მოკლე შარვლები, სავარჯიშო ზედა და ქვედა სამოსი): მწარმოებლის 20 სმ²–ზე მეტი ზომის ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ნიშანი ჩაითვლება თვალში საცემად.

1.5. ფეხსაცმელზე: დასაშვებია, რომ გამოსახული იყოს მწარმოებლის ჩვეულებრივი განმასხვავებელი, მოდელისთვის დამახასიათებელი ნიშანი. შეიძლება გააჩნდეს მწარმოებლის დასახელება და/ან ლოგოტიპი, არაუმეტეს 6 სმ² ზომისა, როგორც ჩვეულებრივი განმასხვავებელი, მოდელისთვის დამახასიათებელი ნიშნის ნაწილი ან მისგან დამოუკიდებლად.

1.6. საერთაშორისო სპორტული ფედერაციის მიერ დადგენილი სპეციალური წესების შემთხვევაში, გამონაკლისი შემთხვევები ზემოთ ჩამოთვლილ წესებთან მიმართებაში უნდა დაამტკიცოს IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ.

ამ მუხლის დებულებების დარღვევა გამოიწვევს შესაბამისი პირის დისკვალიფიკაციას ან აკრედიტაციის ჩამორთმევას. IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებები ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოოა.

შეჯიბრებების მონაწილეთა ნომრები არ უნდა ასახავდეს არანაირ რეკლამას და უნდა შეიცავდეს OCOG-ის ოლიმპიურ ემბლემას.

2. იმისათვის, რომ ლეგიტიმურად ჩაითვალოს, OCOG-ის ყველა კონტრაქტი, რომელიც შეიცავს რეკლამის ნებისმიერ ელემენტს – მათ შორის, ოლიმპიური თამაშების ემბლემის ან თილისმის გამოყენების უფლებას ან ლიცენზიას, უნდა შეესაბამებოდეს ოლიმპიური ქარტიის დებულებებს და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ დებულებებს. იგივე მიესადაგება კონტრაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია ქრონომეტრაჟის აპარატურასთან, ტაბლოებთან და სატელევიზიო პროგრამებში საიდენტიფიკაციო სიგნალის ჩართვასთან. ამ დებულებების დარღვევა ექცევა IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილების ქვეშ.

3. იმისათვის, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის შექმნილი ნებისმიერი თილისმა ჩაითვალოს ოლიმპიურ ემბლემად, მისი დიზაინი OCOG-ის მიერ დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს IOC-ის აღმასრულებელ საბჭოს. არ შეიძლება კომერციული მიზნებისთვის ასეთი თილისმის გამოყენება NOC–ის ქვეყანაში ამ უკანასკნელის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4. *OCOG–მა უნდა უზრუნველყოს ოლიმპიური თამაშების ემბლემისა და თილისმის საკუთრების დაცვა IOC-ის სასარგებლოდ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. თუმცა, მხოლოდ OCOG-მა, ხოლო მისი საქმიანობის გაფართოების შემდეგ – მასპინძელი ქვეყნის NOC-მა, შეიძლება გამოიყენოს ასეთი ემბლემა და თილისმა, აგრეთვე ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული სხვა ნიშნები, ნახატები, სამკერდე ნიშნები, პოსტერები, საგნები და დოკუმენტები ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების, მათი ჩატარების და მის შემდგომ პერიოდში, რომელიც ამოიწურება არაუგვიანეს ოლიმპიური თამაშების ჩატარების კალენდარული წლის დასასრულს. ამ პერიოდის დასრულების შემდეგ ნებისმიერი უფლება ასეთ ემბლემებთან, თილისმებთან და სხვა ნიშნებთან, ნახატებთან, სამკერდე ნიშნებთან, პოსტერებთან, საგნებთან და დიკუმენტებთან მიმართებაში მთლიანად ეკუთვნის IOC–ს. OCOG-მა და/ან NOC–მა, შექმნილი გარემოების ფარგლებში, ამ მიმართებით უნდა იმოქმედონ რწმუნებულების სახით IOC-ის სასარგებლოდ.*

5. *ამ ოფიციალური განმარტების დებულებები, შესაბამისი ცვლილებებით, ასევე მიესადაგება ყველა კონტრაქტს, რომელიც ხელმოწერილია სესიის ან ოლიმპიური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.*

6. *შეჯიბრებების მონაწილეთა და ოფიციალური სტატუსის მქონე ხელმძღვანელი პირების ფორმა უნდა შეიცავდეს მათი NOC-ის დროშას ან ოლიმპიურ ემბლემას, ან, OCOG-ის თანხმობით, OCOG-ის ოლიმპიურ ემბლემას. IF–ების ხელმძღვანელ პირებს შეუძლიათ ატარონ მათი ფედერაციების ფორმები და ემბლემები.*

7. *საიდენტიფიკაციო ნიშნები ტექნიკურ აღჭურვილობაზე, ინსტალაციებსა და სხვა აპარატურაზე, რომელსაც არ ატარებენ და არ იყენებენ სპორტსმენები ან ოლიმპიური თამაშების სხვა მონაწილეები, აგრეთვე ქრონომეტრაჟის აპარატურასა და ტაბლოებზე გამოსახული ასეთი იდენტიფიკაცია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ამ აღჭურვილობის, ინსტალაციის ან აპარატის სიმაღლის 1/10-ს, და არ უნდა იყოს 10 სმ-ზე მეტი სიმაღლის.*

8. *"საიდენტიფიკაციო ნიშანი" ნიშნავს მწარმოებლის ჩვეულებრივ დასახელებას, აღნიშვნას, საფირმო ნიშანს, ლოგოტიპს ან ნებისმიერ სხვა განმასხვავებელ ნიშანს, რომელიც თითო საგანზე აღნიშნულია არაუმეტეს ერთხელ.*

9. *OCOG–ი, თამაშების ყველა მონაწილე და ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებული პიროვნება, აგრეთვე სხვა შესაბამისი პირი და მხარე უნდა იცავდეს სახელმძღვანელოების, ცნობარების, სახელმძღვანელო პრინციპების დებულებებსა და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა სხვა მითითებას 53-ე წესსა და ამ ოფიციალურ განმარტებასთან მიმართებაში.*

IV. პროტოკოლი

52. პროტოკოლი

1. ოლიმპიური თამაშების პერიოდში მხოლოდ IOC–ის აღმასრულებელ საბჭოს გააჩნია უფლებამოსილება დაადგინოს პროტოკოლი OCOG-ის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული შეჯიბრებების ჩატარების ადგილებზე.

2. ოლიმპიური თამაშების დროს ნებისმიერ ცერემონიასა და შეჯიბრებაზე პირველები შემოდიან IOC-ის საპატიო პრეზიდენტი, საპატიო წევრები და დამსახურებული წევრები მათი რანგის მიხედვით. წინა პლანზე გამოდიან პრეზიდენტი, საპატიო პრეზიდენტი დ ვიცე-პრეზიდენტები, მათ მოჰყვებიან OCOG-ის წევრები, IF-ების პრეზიდენტები და NOC–ების პრეზიდენტები.

3. OCOG-ი, IF-ები, NOC–ები და ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებული ყველა სხვა პირი, მიუხედავად ფუნქციისა, უნდა ასრულებდნენ IOC-ის პროტოკოლის მითითებებს და IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა სხვა დადგენილებას ამ წესში აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

53. ოლიმპიური პირადობის და აკრედიტაციის ბარათი – თანმდევი უფლებები

1. ოლიმპიური პირადობის და აკრედიტაციის ბარათი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის პირადობას და ანიჭებს მას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებას. პასპორტსა და სხვა ოფიციალურ სამგზავრო დოკუმენტებთან ერთად, ოლიმპიური პირადობის და აკრედიტაციის ბარათი იძლევა მასპინძელ ქვეყანაში შესვლის უფლებას. იგი უფლებას ანიჭებს მის მფლობელს, რომ დაესწროს და შეასრულოს ოლიმპიური ფუნქციები მისი მსვლელობის პერიოდში. ბარათის სამოქმედო ვადა ითვალისწინებს არაუმეტეს ერთ თვეს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე და ერთ თვეს მისი დასრულების შემდეგ.

2. ოლიმპიური პირადობის და აკრედიტაციის ბარათი, IOC-ის ხელმძღვანელობით გაიცემა აკრედიტაციის მისაღებად უფლებამოსილ პირებზე. იგი, მასზე აღნიშნული პირობების საფუძველზე უზრუნველყოფს დაშვებას OCOG-ის ზედამხედველობის ქვეშ არსებული შეჯიბრებების ობიექტებზე, ადგილებსა და ტერიტორებზე. პირებს, რომლებზეც უნდა გაიცეს ასეთი ბარათები და მათი გაცემის პირობებს ადგენს IOC-ის აღმასრულებელი საბჭო. OCOG-ებმა, IF-ებმა, NOC-ებმა და ყველა სხვა შესაბამისმა პირმა და მხარემ უნდა უზრუნველყოს ცნობარებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დებულებების შესულება და IOC–ის აღმასრულებელი საბჭოს ყველა სხვა დირექტივის განხორციელება ამ წესში აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.

54. ოლიმპიური დროშის გამოყენება

1. ოლიმპიური თამაშების მთელი მსვლელობის პერიოდში უნდა ფრიალებდეს ოლიმპიური დროშა, რომლის ზომა აღემატება ყველა სხვა დროშის ზომას. იგი აღმართული უნდა იყოს მთავარ სტადიონზე მისთვის განკუთვნილ თვალსაჩინო ადგილზე და ყველა სხვა ობიექტზე, რომელიც OCOG–ის

პასუხისმგებლობის ქვეშ ფუნქციონირებს. ასეთი დროშების აღმართვა ხდება ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე, დაშვება კი – დახურვის ცერემონიაზე.

2. დიდი რაოდენობით ოლიმპიური დროშა უნდა ფრიალებდეს ოლიმპიურ სოფელში, შეჯიბრებებისა და ვარჯიშების ჩატარების ყველა ადგილზე, მასპინძელ ქალაქში და OCOG–ის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ყველა ობიექტზე, ადგილზე და ტერიტორიაზე.

55. ოლიმპიური ცეცხლის გამოყენება

3. OCOG–ი პასუხისმგებელია ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლის შემოტანაზე. ნებისმიერი ღონისძიება ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტასთან და ოლიმპიური ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა სრულდებოდეს IOC-ის პროტოკოლთან მკაცრ შესაბამისობაში.

4. ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიის შემდეგ ოლიმპიური ჩირაღდნის და ოლიმპიური ცეცხლის გამოყენება მასპინძელ ქალაქში ან სადმე სხვაგან IOC–ის წინასწარი ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

56. გახსნისა და დახურვის ცერემონიები

1. გახსნისა და დახურვის ცერემონიები უნდა ჩატარდეს IOC-ის პროტოკოლთან მკაცრ შესაბამისობაში.

2. ყველა ცერემონიის სცენარის შინაარსი და დეტალები, განრიგი და პროგრამა უნდა წარედგინოს IOC–ს წინასწარი თანხმობის მისაღებად.

3. ოლიმპიური თამაშები გახსნილად უნდა გამოცხადდეს მასპინძელი სახელმწიფოს მეთაურის მიერ შემდეგი ფრაზებით – გარემოებების მიხედვით:

- ოლიმპიადის თამაშების გახსნაზე:

"გახსნილად ვაცხადებ ... (მასპინძელი ქალაქის სახელი) თამაშებს, რომელიც ატარებს თანამედროვეობის ... (ოლიმპიადის რიგითი ნომერი) ოლიმპიადას"

- ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე:

"გახსნილად ვაცხადებ ... (მასპინძელი ქალაქის სახელი) ზამთრის ... (ზამთრის ოლიმპიური თამაშების რიგითი ნომერი) ოლიმპიურ თამაშებს."

ოლიმპიური თამაშების მთელი მსვლელობის განმავლობაში, ყველა ცერემონიის ჩათვლით, OCOG-ის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ობიექტებზე არ უნდა მოხდეს მთავრობის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლების ან პოლიტიკოსების სიტყვით გამოსვლა. გახსნისა და დახურვის ცერემონიებზე მხოლოდ IOC-ის პრეზიდენტს და OCOG-ის პრეზიდენტს აქვთ მოკლე მიმართვის წარმოთქმის უფლება.

57. დაჯილდოების, მედლებისა და დიპლომების გადაცემის ცერემონიები

დაჯილდოების, მედლებისა და დიპლომების გადაცემის ცერემონიები უნდა ჩატარდეს IOC-ის პროტოკოლის სახელმძღვანელოსთან მკაცრ შესაბამისობაში. მედლებისა და დიპლომების ფორმატები წინასწარ უნდა წარედგინოს IOC–ს დასამტკიცებლად.

58. საპატიო რეესტრი

IOC–ი და OCOG–ი არ ადგენენ საპრიზო ადგილების რაიმე გლობალურ სიას ქვეყნების მიხედვით. OCOG–ი მოამზადებს საპატიო რეესტრს, სადაც შეტანილი იქნება ყოველ შეჯიბრზე მედლების და დიპლომების მფლობელთა გვარები. მედალოსნების გვარები თვალსაჩინო ადგილზე პერმანენტულად იქნება გამოსახული მთავარ სტადიონზე.

V. არბიტრაჟი

59. დავები და არბიტრაჟი

ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება ოლიმპიური თამაშების დროს ან მათთან დაკავშირებით, წარედგინება უშუალოდ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, სპორტის საკითხებზე საარბიტრაჟო კოდექსის თანახმად.